პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

19 დეკემბერი ოთხშაბათი 1973 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 294 (5811)

საინფორმაციო ცნობა
საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

18 დეკემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი რესპუბლიკის პარტიული აქტივის მონაწილეობით.

პლენუმმა განიხილა საკითხი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენუმის შედეგები და რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები ხუთწლედის მეოთხე წელს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულების უზრუნველყოფის საქმეში.

პლენუმის მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში მოცემული დასკვნები, რომელმაც წამოაყენა პრინციპული დებულებანი 1974 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულების, საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის, კულტურისა და მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობის გზებისა და მეთოდების შესახებ.

პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმულმა სიტყვამ, პლენუმის გადაწყვეტილებებმა შეაიარაღეს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია, ყველა კომუნისტი სახალხო მეურნეობის განვითარების ახალ ამოცანათა შესრულებისათვის ბრძოლის სამოქმედო პროგრამით.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენუმი პარტიისა და ხალხის ისტორიაში შევა როგორც ნათელი ნიშანსვეტი კომუნიზმის მშენებლობის გზაზე.

აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მრავალმხრივი საქმიანობა სკკპ XXIV ყრილობის მიერ წამოყენებული მშვიდობის პროგრამის განსახორციელებლად სარგებლობს პლანეტის მშვიდობისმოყვარე ძალების, მთელი პროგრესული კაცობრიობის აღიარებითა და მხარდაჭერით.

პლენუმის მონაწილეებმა გულითადი მადლობა უძღვნეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს იმ უდიდესი წვლილისათვის, პირადად რომ შეაქვს საგარეო-პოლიტიკური კურსის განხორციელებაში, რომელიც მიზნად ისახავს სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიან თანაარსებობას, მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის საიმედო უშიშროების უზრუნველყოფას.

პლენუმზე გამოვიდნენ პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ო. კობახია, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. დ. თხილაიშვილი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბ. თ. ლობჟანიძე, პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ფ. ხ. სანაკოევი, პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ს. ე. ხაბეიშვილი, რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის მძახავი ვ. კ. რიჟოვა, პარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. რ. კვარაცხელია, გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. ა. უტიაშვილი, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი ნ. ა. მეძმარიაშვილი, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის დირექტორი ი. რ. ხვედელიანი, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი თ. ვ. ლაშქარაშვილი, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მმართველი ვ. ბ. ჯინჯიხაძე, პარტიის სიღნაღის რაიკომის პირველი მდივანი ვ. ბ. ქარშიძე.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

პლენუმზე ყოველმხრივ განიხილეს ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის შედეგები. კერძოდ, აღინიშნა, რომ საქართველოს პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, სამეურნეო ორგანიზაციების დიდი პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღების შედეგად მიღწეულია ახალი მიჯნები სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებაში.

რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებმა მთლიანად წარმატებით შეასრულეს 1973 წლის დაძაბული გეგმა და მაღალი სოციალისტური ვალდებულებანი. მრავალი წლის მანძილზე პირველად მივაღწიეთ საგრძნობ წარმატებებს საბინაო მშენებლობაში. საექსპლოატაციოდ გადაეცა 760 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, რაც შარშანდელზე 38 პროცენტით მეტია.

გარკვეული წარმატებანია მიღწეული სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. მეჩაიეებმა მოკრიფეს რეკორდული მოსავალი — 290 ათასი ტონა ნედლეული, რითაც გადააჭარბეს ხუთწლედის უკანასკნელი წლისათვის დაგეგმილ ჩაის კრეფის დონეს. მხვნელ-მთესველებმა გეგმით გათვალისწინებული 99 ათასი ტონის ნაცვლად დაამზადეს 161 ათასი ტონა მარცვლეული. ვადამდე შესრულდა სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, მატყლის მიყიდვის წლიური გეგმები. მშრომელთა იდეურ ცხოვრებაში, მორალურ-პოლიტიკურ განწყობილებაში შეიმჩნევა გარკვეული ცვლილებანი უკეთესობისაკენ.

ამასთანავე პლენუმის მონაწილეებმა მწვავედ გააკრიტიკეს არსებული ნაკლოვანებანი. ჯერ კიდევ ყველა საწარმოს როდი გარდაუქმნია მუშაობა პარტიის XXIV ყრილობის მოთხოვნებისა და პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად. სერიოზული ჩამორჩენაა სოფლის მეურნეობის მთელ რიგ დარგებში.

მაგალითად, გეგმით გათვალისწინებული 300 ათასი ტონის ნაცვლად დამზადებულია 227 ათასი ტონა ყურძენი. ჯერ კიდევ არ მომხდარა გარდატეხა მოსახლეობის მომსახურების სფეროში — ვაჭრობაში, საყოფაცხოვრებო მომსახურებაში, ჯანმრთელობის დაცვაში.

პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს და სხვა ნაკლოვანებანი დიდად არის განპირობებული იმით, რომ ადგილებზე საკმარის ყურადღებას არ უთმობენ პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის, კომუნისტთა პირადი პასუხისმგებლობისა და ავანგარდული როლის ამაღლებას. სუსტად წარმოებს ბრძოლა სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში არსებული ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, არ ხორციელდება ჯეროვანი ღონისძიებანი მშრომელთა მასების შეგნებაზე იდეური ზემოქმედების ეფექტიანობის ასამაღლებლად. ყოველთვის პრინციპულად როდი აფასებენ კომუნისტური მორალისათვის უცხო მოვლენებს, კერძოსაკუთრული ტენდენციებისა და წარსულის მავნე გადმონაშთების გამოვლინებებს.

პლენუმზე ითქვა, რომ საჭიროა შემდგომი შეუპოვარი ბრძოლა მუშაობის ნამდვილად პარტიული სტილის, სამეურნეო საქმიანობის ყველა სფეროში პარტიული მიდგომის დამკვიდრებისათვის, ბრძოლა ბიუროკრატიული სტილის, საერთო სახელმწიფოებრივი, საერთო სახალხო ინტერესების უგულებელყოფის, უპასუხისმგებლობისა და ფორმალიზმის გამოვლინებათა წინააღმდეგ. პარტიული მიდგომა უმჯიდროესად არის დაკავშირებული კადრების პასუხისმგებლობის გადაჭრით ამაღლებასთან, იგი ნიშნავს გავუფრთხილდეთ და ვენდოთ კადრებს და ამავე დროს მოვეკიდოთ დიდი მომთხოვნელობით.

პლენუმმა ერთსულოვნად მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მისი ბიუროს საქმიანობა.

მიღებულ დადგენილებაში პლენუმმა გამოთქვა რწმენა, რომ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია მთელ თავის ძალებს, ცოდნასა და გამოცდილებას მოახმარს იმ ამოცანის გადაწყვეტას, რომ უთუოდ შესრულდეს ხუთწლედის მეოთხე წლის დავალებანი და სოციალისტური ვალდებულებანი.

პლენუმმა განიხილა აგრეთვე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1974 წლის სახელმწიფო გეგმისა და 1974 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები. ამ საკითხებზე ინფორმაცია გააკეთეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ ე. მ. ჯაფარიძემ და რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრმა ფ. ა. ანანიაშვილმა. პლენუმმა ძირითადად მოიწონა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1974 წლის სახელმწიფო გეგმისა და 1974 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები და შეიტანა ისინი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის განსახილველად.

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო კომიტეტებს, რაიკომებს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ გაშალონ მუშაობა, რათა დარაზმონ კომუნისტები, კომკავშირელები და ყველა მშრომელნი 1974 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესასრულებლად, ამასთან იხელმძღვანელონ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენუმზე წარმოთქმული სიტყვით.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ვ. ვ. ვასილიევი. (საინფორმაციო).

კოსმოსური ერის ახალი ტრიუმფი

საკავშირო ცნობა მიფრინავს „სოიუზ-13“

1973 წლის 18 დეკემბერს 14 საათსა და 55 წუთზე მოსკოვის დროით საბჭოთა კავშირში დედამიწისირგვლივი კოსმოსური სივრცის კვლევის პროგრამის შესაბამისად გაუშვეს კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-13“.

კოსმოსურ ხომალდს პილოტობს ეკიპაჟი, რომელშიც შედიან ხომალდის მეთაური მაიორი პეტრე ილიას-ძე კლიმუკი და ბორტინჟინერი ვალენტინ ვიტალის-ძე ლებედევი.

ორბიტული ფრენის პროგრამით გათვალისწინებულია: მოაწყონ ვარსკვლავების ასტროფიზიკური დაკვირვება, ულტრაიისფერი დიაპაზონით სისტემაზე დადგმული ტელესკოპების „ორიონ-2“-ის სისტემის მეშვეობით;

განახორციელონ დედამიწის ზედაპირის ცალკეული უბნების სპექტროზონალური გადაღება სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადასაწყვეტად შესაბამისი მონაცემების მიღების მიზნით;

განაგრძონ „სოიუზ“-ის კოსმოსური ხომალდების საბორტო სისტემათა კომპლექსური შემოწმება და გამოცდა;

კიდევ უფრო დახვეწონ ხელისა და ავტომატური მართვის პროცესები, აგრეთვე სხვადასხვა რეჟიმით ფრენისას ავტონომიური ნავიგაციის მეთოდები.

ხომალდ „სოიუზ-13“-ის ეკიპაჟთან დამყარებულია შეუფერხებელი რადიო და სატელევიზიო კავშირი.

კოსმონავტები ამხანაგები კლიმუკი და ლებედევი თავს კარგად გრძნობენ, საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობენ. კოსმონავტებმა კლიმუკმა და ლებედევმა დაიწყეს ფრენის დასახული პროგრამის შესრულება.

მაიორი პეტრე ილიას-ძე კლიმუკი

პეტრე ილიას-ძე კლიმუკი დაიბადა 1942 წელს ბრესტის ოლქის ბრესტის რაიონის სოფელ კობაროვკაში.

1964 წელს ჩერნიგოვის უმაღლესი სამხედრო-საავიაციო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მსახურობდა სამხედრო-საჰაერო ძალებში.

სამსახურის დროს პ. ი. კლიმუკმა თავი გამოიჩინა როგორც ჩინებულმა მფრინავმა, აითვისა რამდენიმე ტიპის თვითმფრინავი.

1963 წელს იგი მიიღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში.

კოსმონავტთა რაზმში პ. ი. კლიმუკი ჩაირიცხა 1965 წელს. მან გაიარა სხვადასხვა პილოტირებული აპარატით კოსმოსური ფრენისათვის მზადების სრული კურსი. 1973 წლიდან პ. ი. კლიმუკი ი. ა. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის მსმენელია.

კოსმონავტის ცოლი ლილია ვლადიმერის ასული სწავლობს მოსკოვის ი. მ. სეჩენოვის სახელობის პირველ სამედიცინო ინსტიტუტში. მათ ჰყავთ ხუთი წლის შვილი მიხეილი.

კოსმონავტის მამა დიდი სამამულო ომის დროს დაიღუპა, დედა მართა პავლეს ასული ცხოვრობს ბრესტის ოლქის სოფელ კობაროვკაში.

ვალენტინ ვიტალის-ძე ლებედევი

ვალენტინ ვიტალის-ძე ლებედევი დაიბადა 1942 წელს მოსკოვში.

1960-1966 წლებში სწავლობდა მოსკოვის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავიაციო ინსტიტუტში.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ვ. ვ. ლებედევი მუშაობდა საკონსტრუქტორო ბიუროში, სადაც თავი გამოიჩინა როგორც ერუდირებულმა და ინიციატივიანმა ინჟინერმა. იგი აქტიურად მონაწილეობდა კოსმოსური აპარატების ახალ სისტემათა შემუშავებასა და გამოცდაში, ეწეოდა საგამომგონებლო საქმიანობას, აქვს რამდენიმე საავტორო მოწმობა.

1971 წელს ვ. ი. ლებედევი მიიღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში.

კოსმონავტთა რაზმში ვ. ვ. ლებედევი ჩაირიცხა 1972 წელს, გაიარა კოსმოსური ფრენისათვის მზადების სრული კურსი. ვალენტინ ლებედევი მისდევს საავიაციო სპორტს, აქვს პირველი სპორტული თანრიგი.

კოსმონავტის ცოლი ლიუდმილა ვიტალის ასული ინჟინერად მუშაობს საკონსტრუქტორო ბიუროში, მათი შვილი ვიტალი ერთი წლისაა.

კოსმონავტის მამა ვიტალი ვლადიმერის-ძე გარდაცვალა 1968 წელს. დედა ანტონინა თევდორეს ასული მოსკოვის ოლქში ცხოვრობს.

გაიხსნა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს სესია

18 დეკემბერს დილის 10 საათზე კრემლის დიდ სასახლეში მუშაობა დაიწყო რუსეთის სფსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიამ.

მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით, ფეხზე ამდგარი შეხვდნენ დეპუტატები და სტუმრები ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევს, ი. ვ. პოდგორნოვს, ვ. ვ. გრიშინს, ა. ა. გრომიკოს, ა. ვ. კირილენკოს, თ. დ. კულაკოვს, ა. ი. პელშეს, დ. ს. პოლიანსკის, მ. ა. სუსლოვს, ა. ნ. შელეპინს, მ. ს. სოლომენცევს, დ. თ. შტინოვს, ვ. ი. დოლგიხს, ი. ვ. კაპიტონოვს.

სესია გახსნა რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა ვ. ა. კოტელნიკოვმა.

სესიის განსახილველად შეტანილია საკითხები რუსეთის სფსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1974 წლის სახელმწიფო გეგმის, რუსეთის სფსრ 1974 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და 1972 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ. (საკადსი)

მეგობრული ვიზიტით

17 დეკემბერს მოსკოვში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მოწვევით მეგობრული ვიზიტით ჩამოვიდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. გერეკი.

ვნუკოვოს აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით, ე. გერეკს შეხვდნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ნ. დემიჩევი, კ. თ. კატუშევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები ბ. პ. გეშბასოვი, კ. ვ. რუსაკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები.

შემხვედრთა შორის იყო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ზ. ნოვაკი. (საკადსი).

18 დეკემბერს კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. ე. გერეკს.

გულითადი, მეგობრულ ატმოსფეროში განიხილეს ორივე ქვეყნისა და პარტიისათვის საინტერესო საკითხები.

იმავე დღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სადილი გაუმართეს ამხ. ე. გერეკს. (საკადსი).

ამხანაგი კ. ტ. მაზურეოვი ყირგიზეთში ჩავიდა

ფრუნზე, 17 დეკემბერი. (საკადსი). დღეს აქ ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე კ. ტ. მაზურეოვი.

აეროპორტში კ. ტ. მაზურეოვს შეხვდნენ ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ტ. უ. უსუბალიევი, ყირგიზეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ტ. კულატოვი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ს. სეიფუმბაევი, ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, ყირგიზეთის პარტიული და საბჭოთა ორგანოების, ქალაქებისა და ოლქების ხელმძღვანელები.

ვიფრინავს „კოსმოს-616“

1973 წლის 17 დეკემბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-616“. თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის გახსნის შესახებ



საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია გაიხსნება დღეს, 19 დეკემბერს, დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომა გაიმართება დღეს, 19 დეკემბერს, დილის 9 საათსა და 30 წუთზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში.

25 დღით ადრე

ზესტაფონი. (საკ. კორ.). რკინიგზის ზესტაფონის სადგურის კოლექტივმა ვადამდე 25 დღით ადრე შეასრულა წლიური დავალება და კარგახანია მომავალი წლის ანგარიშში ეუშაობს.

ზესტაფონელმა რკინიგზელებმა დანიშნულებისამებრ გაგზავნეს 21 ათას ვაგონზე მეტი სახალხო-სამეურნეო ტვირთი. დაცლილია 49.791 ვაგონი, რაც წლიურ გეგმას 5.916 ვაგონით აჭარბებს. გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, შემცირდა თვითღირებულება, გაუმჯობესდა მგზავრთა მომსახურების კულტურა.

სოციალისტურ შეჯიბრებაში წინ მიდიან ა. მაღლაკელიძისა და გ. ჭელიძის ცვლების კოლექტივები.

სადგურის კოლექტივი იბრძვის, რომ წლის ბოლომდე დატვირთოს და გაგზავნოს 1.650 ვაგონი ზეგეგმიური ტვირთი.

სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ნარმომადგენელთა თათბირი

ამა წლის 18 დეკემბერს მოსკოვში დაიწყო სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ცენტრალური კომიტეტების მდივნების თათბირი. თათბირის დღის წესრიგშია აზრთა და იდეოლოგიური მუშაობის გამოცდილების გაზიარება. მოძმე პარტიების იდეოლოგიური თანამშრომლობის საკითხთა განხილვა.

თათბირში მონაწილეობენ: ბულგარეთის კომუნისტური პარტიისაგან — ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები ა. ლილოვი, კ. ტილაფოვი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრი გ. ბოკოვი; უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიისაგან — უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. აცელი; გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიისაგან — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები, ცენტრალური კომიტეტის მდივნები კ. ჰაგერი, ჰ. აჭსენი, ვ. ლამბერციი; კუბის კომუნისტური პარტიისაგან — კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრი ა. პერესი; მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიისაგან — მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. ჩიმიდორჟი; პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიისაგან — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. შიდლიაკი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ე. ლუკაშევიჩი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრი რ. ფრელეკი; რუმინეთის კომუნისტური პარტიისაგან — რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმასკომის წევრობის კანდიდატი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ბურტიკი, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი შ. ანდრეი; საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისაგან — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. თ. კატუშევი; ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიისაგან — ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ბილიაკი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები ო. შვიტკა, ი. ფოიტიკი.

თათბირში მონაწილეობენ აგრეთვე შესაბამისი მოძმე პარტიების ცენტრალური კომიტეტების საერთაშორისო და იდეოლოგიურ განყოფილებათა გამგეები, გამგეთა მოადგილეები, პასუხისმგებელი მუშაკები.

პარტიული ცხოვრება

ფიქრები მომავლის ადამიანზე

დედაქალაქის ორჯონიკიძის რაიონის 42-ე პარტიული კონფერენცია

კონფერენციამ ფართოდ იმსჯელა ყველა იმ პრობლემებზე, რაც ცხოვრებამ რაიონს თანამედროვე ვითარებაში დაუყენა, მაგრამ მთელი კონფერენციის ძირითადი მაპროფილებელი პრობლემა მაინც ის იყო, რითაც ორჯონიკიძის რაიონი დედაქალაქისა თუ რესპუბლიკის სხვა რაიონებისაგან განსხვავდება — ეს არის სწავლისა და სწავლების და მათგან განუყოფელი — აღზრდის პრობლემა უმაღლეს სასწავლებლებში. ეს ბუნებრივიც არის — რესპუბლიკის თვრამეტი უმაღლესი სასწავლებლიდან რვა, ყველაზე წამყვანი, ამ რაიონზე მოდის. აქ სტუდენტთა რაოდენობა ერთ მოზრდილ ქალაქს დაასახლებდა — 60.000! მათს აღზრდაზე მუშაობს თითქმის ხუთი ათასი პროფესორ-მასწავლებელი.

ამიტომაც ბუნებრივია, თუ მოხსენებამ, რომლითაც კონფერენციაზე გამოვიდა რაიკომის პირველი მდივანი ალ. ჩიკვაიძე, და მოკამათეთა გამოსვლებმა თითქოს მოგვატარეს ცოდნისა და მისი შეძენისათვის ბრძოლის სამყაროს მთელი ლაბირინთები, დაგვიხატეს რაიონის უმაღლესი სკოლის სრული სახე, გაგვახარეს მიღწეულით და დაგვაღონეს ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებებით. ჩვენც, კერძოდ, ამ მიმართულებით გვექნება საუბარი, თუმცა, ცხადია, მოხსენებასა და კამათში, როგორც ზემოთ ვთქვეთ, ფართოდ იყო მიმოხილული რაიონის მჩქეფარე ცხოვრების ყველა უმთავრესი უბანი.

უმთავრესი ფაქტორი, რითაც უმაღლესი სკოლის ნაკლოვანებებია განპირობებული, მაინც აღზრდის პრობლემის „რასრულყოფილად გადაჭრა არის.

უდიდესი ბედნიერების ჟამს, საგამოცდო კონკურსზე რომ გაიმარჯვა, ცოდნის ტაძარში ფეხი შედგა და უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტობას ეღირსა — ახალგაზრდა იოლ სწავლას შეუდგა. მას ნიშანი უნდა, სწავლა — არა! წარმოიდგინეთ, გაცდუნება მშობლებისა, სტუდენტის წარმომგზავნი საწარმოსი, თვით უმაღლესი სასწავლებლისა, და მთელი ხალხისაც!

სამოცდაათი პროცენტი რაიონის უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტებისა ხამიანებს ღებულობს, როცა მათი დედები და მამები, ძმები და დები, მათი ტოლი ჰაბუკები და ქალიშვილები სახალხო მეურნეობისა და კულტურის ფრონტებზე თავდადებით იღვწიან.

სრულფასოვანი სპეციალისტი ვერ დადგება სტუდენტი, შეუპოვარი დამოუკიდებელი შრომა თუ არ გასწია. ეს სამიანი კი ორიენტირია საშუალო მომზადებისა და საშუალოზე დაბალი კვალიფიკაციის სპეციალობისაკენ. ჩვენ კი არ გვინდა რრგორღაც მიღებული დიპლომი. უმაღლესი სკოლის მასწავლებლებმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ვერ შეძლეს სტუდენტებში შეუპოვრობისა და საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობის გრძნობის აღზრდა. ახალგაზრდა უმაღლეს სასწავლებელს რომ ამთავრებს და დიპლომს იღებს შედის სასწავლებელში, რომელსაც არც პირველი, არც ბოლო კურსი და არც გამოშვება აქვს — ეს არის ცხოვრება. დიპლომი როდინა ცოდნის შეძენის დასასრული, იგი მხოლოდ ფსიქოლოგიურად შემზადებაა ადამიანისა, ისწავლოს მთელი ცხოვრების მანძილზე.

მხოლოდ კომუნისტური პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე სტუდენტს ძალუძს გახდეს თეორიისა და პრაქტიკის ერთობლივობით, საზოგადოების ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების კანონების მცოდნე სპეციალისტი.

ლიბერალიზმმა, პროტექციონიზმმა, უპასუხისმგებლობამ და სხვა ხასიათის დარღვევებმა, რაც წლების მანძილზე მეფობდა რაიონის უმაღლეს სასწავლებლებში, თავისი ნაყოფი ამაშიც გამოიღო, რომ 1318 სტუდენტი გარიცხულია ჩამორჩენილობისა და ლექციათ-სემინარების გაცდენისათვის. ხაგანგებო შემთხვევაა. ვინ დაგვარწმუნებს, რომ ეს ახალგაზრდები ცოდნით გახდნენ სტუდენტები! ზარალი გამფლანგველობისგან დიდია, მაგრამ ეს — უფრო მეტია!

არის მოკვეთილი ხელის შეგრძნება. მედიცინაში მას ფანტომური შეგრძნებას ეტყვიან. ჩვენი უმაღლესი სკოლებისაგან დღეს, შესაძლოა, მოკვეთილია პროტექციონიზმი და ლიბერალიზმი, მაგრამ მათი „ფანტომური შეგრძნება“ აქა-იქ თავს იჩენს. კონფერენციაზე მოყვანილი იყო ის ფაქტი, რომ სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის მესამე კურსზე სტუდენტთა 50 პროცენტი წარმატებას ვერ აღწევდა. მალე დანიშნულ დამატებით გამოცდებზე კი „გამოსწორებულთა“(!) პროცენტმა 88-მდე იაწია! პოლიტექნიკურ ინსტიტუტში რექტორატი იძულებული გახდა სექტემბერში გამოცდებზე მესამედ(!) გასვლის უფლება მიეცა 800 სტუდენტისათვის, რადგან მათ გარიცხვა მოელოდათ. აი საკალელო მემკვიდრეობა, რაც ახლმა. რექტორატმა ძველისაგან მიიღო!

ახლა მთავარია სწორება მარკეტიანი ფლანგისაკენ — რაიონის ფრიადოსანი სტუდენტებისაკენ იქნას აღებული. მართალია, მათი რაოდენობა მცირეა, სულ რაღაც ხუთი-ექვსი პროცენტი, მაგრამ შეუპოვარი შრომით შეიძლება მისი გაზრდა.

სწავლა და აღზრდა განუყოფელია, ეს ერთიანი, მთელიანი პროცესია ახალი ადამიანის ფორმირებისა.

როგორ ხდება, რომ სკოლას, ოჯახს, უმაღლესი სასწავლებლის საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, კერძოდ, საფაკულტეტო პარტიულ და კომკავშირულ ბიუროებს გავლენის სფეროდან გაუსხლტეს ხოლმე თავიანთი სტუდენტი და მის უკეთურობას მაშინღა იგებენ, როცა წამხდარ საქმეს ვეღარაფერი მოაბრუნებს?!.. იმ ღირსსახსოვარი გაზაფხულიდან ოცდარვა წლის შემდეგ, როცა ქართველი ჰაბაკები სხვა საბჭოთა მეომარ-განმათავისუფლებლებთან ერთად, საკუთარი სიცოცხლის რისკით, მიერეკებოდნენ უკუქცეულ ფაშისტებს ქალაქ იენის ეუნჭებიდან, — სამმა ქართველმა სტუდენტმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან იენისაში განათლების გასაგრძობად მივლინებულმა, „მიაღწია“ უკან გამოწვევას უდისციპლინობით, ლექცია-სემინარების სისტემატურად გაცდენითა და ამორალური საქციელით; ხოლო იმ შავი ღამიდან ოცდაათი წლის შემდეგ, როცა ფაშისტების ტყვე ქალიშვილი ზოია რუხაძე ამაყი სიკვდილით უკვდავებას ჰპოვებდა და მომავალი წიგნების გმირი ხდებოდა, — აქ, თბილისში ერთი-ორი მდედრობითი სქესის ახალგაზრდა სტუდენტი ხდებოდა... გამოსაფიხზელლის გმირი!... იმ დროს, როცა სამენ მასალათა კომბინატის შუშა ელენე შავლაშვილი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ამ კონფერენციის დელეგატი, დედაქალაქის სამშენებლო ობიექტებზე ხეთწლედის ახალ ზღუდეებს იღებს, სტუდენტთა ერთი ჯგუფი აღვირახსნილობით იმის ჭვა საკმისათვის კოლეგიალური ხელმძღვანელი ორგანოს ყველა წევრის პასუხისმგებლობაზე წარსულშიც და აწყოფნაც.

არა ზრდით გამოწვეულ ნაკლოვანებებზე ფილოსტერული მოთქმა, ცალკეულ ნაკლოვანებათა ხელზე დაბეჭვა, არამედ ბრძოლა მათი ვამოსწორებისათვის — ეი კომუნისტების, უმაღლესი სასწავლებლების პარტიული კომიტეტების, საფაკულტეტო პარტიული ორგანიზაციების პირველი რიგის ამოცანა.

კონფერენცია მუშაობდა იმ მალალ დონეზე, რაც შეეფერება ნაღები ინტელიგენციის — ლენინიზმმომარჯვებულ კომუნისტთა თავყრილობას. ბევრი სასარგებლო წინადადება, საკითხი, ბზების ძებნა იპყრობდა ყურადღებას, იგრძნობოდა პარტიული აქტივის უნარი — საზოგადოებრივი კანონების ღრმა ცოდნით დღევანდელი მდგომარეობის კრიტიკული ანალიზისა, იმის ღრმა რწმენა, რომ ბურჟუაზიული იდეოლოგია ჩვენს ახალგაზრდობას ვერაფერს დააკლებს, როცა მას დავუპირისპირებთ ჩვენს იდეოლოგიურ, პოლიტიკურ, ესთეტიკურ აღზრდას.

კონფერენციის მონაწილენი მტკიცედ განიმსჭვალნენ იმის ღრმა რწმენით, რომ აღარასოდეს გამეორდეს კანონსაწინააღმდეგო მოქმედებანი, რასაც რაიონის მთელ რიგ უმაღლეს სასწავლებლებში, კერძოდ, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში პარტიული და ადმინისტრაციული ხელმძღვანელები სრიადიოდნენ. ამ კანონსაწინააღმდეგო მოქმედებამ, ხომ ავტორიტეტი შეულახა საერთოდ უმაღლეს სკოლას და დიდი ზიანი მიაყენა საქმეს, კონფერენციაზე აღინიშნა, ის აღმაშფოთებელი ფაქტი, რომ დამნაშავის სკამზე აღმოჩნდა თვით რაიკომის ყოფილი მდივანი, სამუშაოდან მოიხსნა და პარტიის რიგებიდან გაირიცხა რაიონული კომიტეტის ექვსი წევრი...

პირველი ნათელი მაგალითი იმისა, რომ შეიძლება დამყარდეს სრული წესრიგი უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების ორგანიზაციაში, წარსულის დარღვევათა გაუმეორებლად, იყო წლევანდელი მისაღები გამოცდები, ჩატარებული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სპეციალური და დგენილებისა და მითითებათა განუხრელი განხორციელების საფუძველზე. საზოგადოებრივობა დიდი კმაყოფილებით ხვდება ამ პირველ დადებით შედეგებს.

ნაკლოვანებები და ჩავარდნები, რასაც საანგარიშო პერიოდში ადგილი ჰქონდა, განპირობებული იყო რესპუბლიკის ყოფილ პარტიულ ხელმძღვანელობაში წლების მანძილზე დამკვიდრებული ფეთქმაყოფილების, ურთიერთმაამებლობის, ნაკლოვანებათა წაყრუების, ჯანსაღი კრიტიკისა და თვითკრიტიკის უგულებელყოფის მაჯნე პრაქტიკით. ახლა, როცა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების წყლულები მიგნებულია, სწორი დიაგნოზი დასმულია, მათი ეფექტური მკურნალობაა საჭირო იმ გამაჯანსაღებელი პროცესების ვითარებაში, დღეს ესოდენ ცხოველმყოფელი ძალით რომ იკრძნობა და რომლის კურსი ძალავაც უკომპრომისო იქნება,— ეი, რა ითქვა როგორც მომხსენებლის ასევე მოკამათეთა (ნ. ხუციშვილი, ა. ალექსიძე, ი. ზედგინიძე, ე. მენაბდე, ა. ძიძიგური, ი. მაჩარაძე, ე. შავლაშვილი, ნ. ბოჭორიშვილი, ვ. მაჭავარიანი, შ. გურაშვილი, რ. დვალი, რ. ლეიბაშვილი, ც. ყორშია, რ. სურგულაძე, დ. ენუქიძე) გამოსვლებში.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო და ხიტყვით გამოვიდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. მ. სირაძე,

ვლ. თორდუა,
„ომუნისტის“ სპეც. კორ.

კერამიკოსთა სიტყვა

□

საწარმოს კოლექტივი მომავალი წლის ანგარიშში ზრომობს

□

თბილისი. კომუნისტური შრომის საწარმომ — „ერთა მიკული კომბინატის „ოლექტივმა მიმდინარე წლის გეგმა ადაზე ადრე 20 ნოემბრისათვის ვაანაღდა. „ოლექტივი უკვე მუშაობს 1974 წლის ანგარიშში. გეგმის ადამეტებით გამოშვებული იქნება: 60 ათასი კვადრატული მეტრი მოსაპირკეთებელი ფილა, 19 ათასი ცალი სამშენებლო ნახევარფაიფურის ნაწარმი და 75 ათასი მანეთის სახალხო მოხმარების საქონელი.

1974 წლისათვის „ოლექტივმა აიღო შემხვედრი გეგმა, რომელიც ითვალისწინებს პროდუქციის გამოშვებას უფრო მეტ ზრდას. **ხუთწლიანი გეგმის ვადამეტებით გამოვუშვებთ 90 ათას კვადრატულ მეტრ მოსაპირკეთებელ ფილას, 41 ათას ცალ სამშენებლო ნახევარფაიფურის ნაწარმს და 85 ათასი მანეთის სახალხო მოხმარების საქონელს.**

ეს მეტად რთული და დიდი ამოცანაა. მისი შესრულება მოითხოვს მთელი „ოლექტივის სულიერი და მატერიალური ძალების მაქსიმალურ დაძაბვას, შრომის ორგანიზაციისა და სოციალისტური შეჯიბრების ისე მოწყობას, რომ ყოველი დღე, ყოველი საათი იყოს დამკვრელური.

ითვალისწინებთ რა ამ დაძაბულ გეგმას, გადაწყვიტეთ 1973 წლის ოქტომბრის ბოლო დეკადაში აიღოთ შრომის ისეთი ტემპი, რომელიც უზრუნველყოფს 1974 წლის შემხვედრი გეგმებისა და სოციალისტური შეჯიბრების ნაკისრი ვალდებულებების ვანაღდებას, რისთვისაც დამკვრელურად ვაცხადებთ ოქტომბრის ბოლო დეკადას და ვალდებულებას ვკისრულობთ ყოველდღიურად გამოვუშვათ: 1.550 კვადრატული მეტრი მოსაპირკეთებელი ფილა ნაცვლად გეგმით ითვალისწინებული 1316-ისა, 600 ცალი სამშენებლო ნახევარფაიფურის ნაწარმი ნაცვლად გეგმით ითვალისწინებული 490 ცალისა, 1850 მანეთის სახალხო მოხმარების საქონელი ნაცვლად ითვალისწინებული 1560 მანეთისა.

კომბინატის დირექტორი ბ. ბუცხრიკიძე, პარტბიუროს მდივანი შ. ცხვარაძე, პროფკავშირის ადგილკომის თავმჯდომარე ა. სისაური, კომკავშირის კომიტეტის მდივანი ჯ. ბეკონია.

„საქსოფლტექნიკის“ ყვარლის რაიონულ განყოფილებაში წარმატებით მიმდინარეობს ტრაქტორების, მარცვლისასალები კომბაინების, სატვირთო ავტომანქანების შეკეთება.

შემკეთებლებმა რაიონის მეურნეობებს უკვე გადასცეს 68 ტრაქტორი, 22 ავტომანქანა და 34 კომბაინი. წლის ბოლომდე ზეგეგმითი პროდუქცია არანაკლებ 20-ათას მანეთს მიაღწევს.

სურათზე: ზეინკალი ივანე ქერაშვილი (მარცხნივ) და ბრიგადირი სარდიონ შიოშვილი ტრაქტორ „დტ-20“ შეკეთებისას. ს. შიოშვილის ბრიგადა სათავეში უდგა ყვარელელ მერქანმეტყევა სოციალისტურ შეჯიბრებას. მისი მაჩვენებელია 130 პროცენტი.

ვ. მორბენოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲕᲖᲐᲠᲓᲝᲗ ᲛᲔᲕᲘᲚᲘᲗ...

□ **მევენახეობის საჭირბოროტო საკითხები**

□ **მცდარი მეთოდი და მისი მეხოტბენი**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის დადგენილების შესაბამისად მევენახეობის განვითარების ახალი გეგმები და ამოცანები დიდი პასუხისმგებლობის წინაშე აყენებს ქართველ მევენახეებს. ჯვლავაც მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს ვენახების ფართობი და მოსავლიანობა. უმოკლეს ვადაში უნდა აღდგეს უკანასკნელ ორ წელიწადში სტიქიური მოვლენებით (ყინვა, სეტყვა) დაღუპული და დაზიანებული ნარგაობანი. მთლიანად უნდა აღმოიფხვრას სიმეჩხერე, რასაც, სამწუხაროდ, ამ ბოლო წლებში ადარ ექცეოდა ჯეროვანი ყურადღება.

ყინვისაგან დაზარალებული და ფაღუპული ვენახების სასწრაფოდ აღსადგენად საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და რსპუბლიკის მინისტრთა საბჭომ 1973 წლის მაისში მიიღეს ერთობლივი დადგენილება. რომელშიც დიდი ყურადღება აქვს დათმობილი მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების გამოყენებას ამ საქმეში.

მიმდინარე წელს რესპუბლიკაში ნაკარგულმა დიდმნიშვნელოვანმა ღონისძიებამ — ვენახების დათვალიერებამ ბევრი საყურადღებო და საჯაულისმო ფაქტის წინაშე დაგვაყენა.

დამაფიქრებელია, რომ სიმეჩხერის პროცენტი უფრო მაღალია ზოგიერთი რაიონის საბჭოთა მეურნეობებში კოლმეურნეობებთან შედარებით. ასეთებია: ჯორის, ყვარლის, წყალტუბოს, ვანის, მაიაკოვსკის, ჩოხატაურის, სოხუმის, ჯალის და სხვა რაიონები. როდესაც ვაანალიზებთ საქართველოს მევენახეობის მდგომარეობას, ეკოიგებული ვრჩებით: ნუთუ მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე. როდესაც გიგანტურად ვითარდება საბაღხო მეურნეობის ყველა დარგი, შეიძლება ასეთი (თუ შეიძლება ასე ითქვას) ძმიმე მდგომარეობამდე იქნას მიყვანილი ჩვენი საამაყო მევენახეობა?

ვანა მოსათმენია ვენახებში 25-30 პროცენტი სიმეჩხერე? უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გადარჩენილი ვენახებიც, მეტწილად, უყურადღებობისა და უდიერად დაჭვირთვის შედეგად ზოგან დაკნინებულია.

აღნიშნული მდგომარეობის დაუყოვნებლივ გამოსწორება სრულიად არ მოითხოვს ახალ მეცნიერულ აღმოჩენებს. საჭიროა მხოლოდ რაციონალურად გამოვიყენთ მეცნიერთა მიერ შედგენილი მევენახეობის აგროწესები მასში გათვალისწინებულ აგროფონისძიებათა მთელი კომპლექსით. სამწუხაროდ, ყველგან როდი ხდება ასე და ხშირად საზოგადოებრივ მეურნეობებში ვენახის გაშენების პირველ წელსვე ნარგაობის მნიშვნელოვანი ნაწილი იღუპება, მისი აღდგენა კი მეურნეობას შემდგომ წლებში მძიმე ტვირთად აწვება და ეფექტიც მინიმალურია.

ამრიგად, ვენახების გაშენებისთანავე მასობრივი სიმეჩხერე მეურნეობის ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა გულგრილობის შედეგია. საერთოდ სიმეჩხერე ვენახებში მეურნეობის დაბალი კულტურის მაჩვენებელია და თავისთავად ტერმინი „სიმეჩხერის წინააღმდეგ ბრძოლა“, ჩვენი აზრით, სოციალისტური მეურნეობის თანამედროვე ეტაპზე არც კი უნდა არსებობდეს, მაგრამ ფაქტების წინაშე თვალის დახუჭვა არ შეიძლება.

როგორც ადვნიშნეთ დღეს ვენახების სიმეჩხერე საზოგადოებრივ სექტორში მეტად მაღალია. ამ მდგომარეობაა ისიც განაპირობებს, რომ მთელ რიგ რაიონებში მოუვლელობის გამო არა მარტო ძველი ვენახები, არამედ ახალშენიც ნადგურდებოდა, მაგრამ სათანადო ორგანოები ამ შეუფერებელ მდგომარეობას ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდნენ. ამის დამადასტურებელია ზუსტაფონის რაიონის როდინოულის მეფანახლეობის საბჭოთა მეურნეობა, სადაც ვენახები გააშენეს საოანალო სამალერიოკაციო საფუფუსობის წინასწარ ჩაუშბარებლად. ამ მიზეზით და მოუვლელობის შედეგად 1962-1970 წლებში გაშენებული 280 ჰექტარი ვენახიდან 200 ჰექტარამდე დაიღუპა და ჩაიოფრეს, ხოლო დარჩენილი ნარგაობა იმდენად დაკნინებულია, რომ მოსავალი ჰექტარზე რამდენიმე ცენტნერით ბანისაზღვრება. მსგავს მდგომარეობასთან გვაქვს საქმე ამავე რაიონის ვალეთის კოლმეურნეობაში და ჩოხატაურის რაიონის „ჩხაგერის“ საბჭოთა მეურნეობაში, სადაც გარდა

ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲐᲓ!

საქართველოს საზოგადოებრიობა იოანეს მუშიდობისმოყვარე ძალების მსოფლიო კონგრესის შედეგებს

◆

მოსკოვში გამართული მშვიდობისმოყვარე ძალების მსოფლიო კონგრესი ყველაზე წარმომადგენლობითი ფორუმი იყო მშვიდობისათვის ხალხთა მოძრაობის ისტორიაში. იგი წარმოადგენს უკეთესი ურთიერთგაგებისათვის, თანამშრომლობისათვის, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის ხალხთა ერთობლივი მეცადინეობის ახალ ეტაპს.

ამ დღეებში მცირე საკონცერტო დარბაზში გამართულ რესპუბლიკის დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა კრებაზე, რომელიც მშვიდობისმოყვარე ძალების მსოფლიო კონგრესის შედეგებს მიეძღვნა, მძლავრად გაისმა მოწოდება, რომ კიდევ უფრო გააფართოონ და გააღრმავონ მოძრაობა მშვიდობისათვის.

კრების გახსნისას საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ს. რეგვავამ აღნიშნა, რომ კონგრესის მოწვევამ მოსკოვში ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი საბჭოთა კავშირის ისტორიულ როლს მშვიდობისათვის ბრძოლაში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლამ კონგრესზე კვლავ დაადასტურა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი თანმიმდევრულად და განუხრელად განახორციელონ პარტიის XXIV ყრილობაზე შემუშავებული მშვიდობის პროგრამა.

კონგრესის დელეგატმა, მშვიდობის თავმჯდომარემ, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა პოეტმა ი. ნონეშვილმა ილაპარაკა მსოფლიო ფორუმის მუშაობაზე, რომელიც თანამედროვე საერთაშორისო ცხოვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ მოვლენად იქცა. ილაპარაკა მის მიერ მიღებულ დოკუმენტებზე. ისტორიას, თქვა მან, ჯერ არ ახსოვს ეთილი ნების ადამიანთა ესოდენ წარმომადგენლობითი ფორუმი. ფორუმში მონაწილეობდა ექვსი კონტინენტის 143 ქვეყნის ამი ათასზე მეტი დელეგატი. ისინი კონგრესზე მოიყვანა ერთმა მისწრაფებამ: შეინარჩუნონ და განამტკიცონ მშვიდობა ახლანდელი და მომავალი თაობებისათვის, მიაღწიონ იმსს, რომ კაცობრობამ სამუდამოდ აიცილოს თავიდან ომის კოშმარები..

კონგრესზე თავის მკაფიო და ღრმამნიანარსის სიტყვაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატმა ლ. ი. ბრეჟნევმა ახალი ჰორიზონტები გადაუშალა პლანეტის მშვიდობიმოყვარე ძალებს, ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვამ დიდი იმპულსი მისცა კონგრესის ნაყოფიერ მუშაობას. მას უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ მსოფლიო კონგრესის დელეგატები, მსოფლიოს მთელი პროგრესული საზოგადოებრიობა. ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის გამოსვლაში გამოთქმულია იმ ადამიანთა სანუკვარი მისწრაფებანი, რომლებისთვისაც ძვირფასია მშვიდობა ქვეყნად.

მშვიდობისმოყვარე ძალების მსოფლიო კონგრესმა ახალი ფურცელი ჩაწერა ხალხთა ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის ინტერესებისათვის, მშვიდობის საქმის გამაჯანსაღებისათვის ეროვნული და საერთაშორისო ძალების გაერთიანებისათვის ბრძოლაში.

ამ. ნონეშვილმა დაახასიათა კონგრესზე მიღებული დოკუმენტების მნიშვნელობა, შეეხო მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის ამოცანებს იმასთან დაკავშირებით, რომ მშრომელთა ფართო მასებს გაანგონ მოსკოვის ფორუმის შედეგები.

კრებაზე გამოვიდნენ აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. გულისაშვილი, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მდივანი ო. ცანავა, სოციალისტური შრომის გმირი ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელო ქარხნის ამწყობი ზეინკალი ვ. პაპინაშვილი, კონგრესის დელეგატი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დავით V, მშვიდობისმოყვარე ძალების მსოფლიო კონგრესის დელეგატი, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი მ. ჭიაურელი, მშვიდობის საბჭოთა ფონდის ხელმძღვანელი რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარე სსრ კავშირის სახალხო მხატვარი უ. ჯაფარიძე.

ორატორებმა აღნიშნეს, რომ მშვიდობისმოყვარე ძალების მსოფლიო კონგრესი შემობრუნების მომენტი გახდა მშვიდობის განვითარებასა და განმტკიცებაში. იგი უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობის თვალსაჩინო მოვლენაა. კონგრესმა, აღნიშნეს მათ, კიდევ მეტად განამტკიცა მშვიდობისმოყვარე ძალების ფართო ფრონტი, ახალი იმპულსი მისცა საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პოლიტიკასა და მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის დამკვიდრებას.

ორატორებმა სიამაყის გრძნობით ილაპარაკეს იმ გადამწყვეტ წვლილზე, რომელიც „კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას შეაქვთ მშვიდობისა და პროგრესისათვის ბრძოლაში. საბჭოთა კავშირის „კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს ლენინური საგარეო-პოლიტიკური კურსი მკაფიოდ არის ასახული სკკპ XXIV ყრილობაზე განსაზღვრულ მშვიდობის პროგრამაში.

საქართველოს საზოგადოებრიობა ერთსულოვნად უჭერს მხარს კონგრესის მონაწილეთა მიერ გამოთქმულ რწმენას, რომ იგი მისცემს კარგ დასაბამს. მძლავრ სტიმულს ყველა ხალხთიდობო მოძრაობის ღონისძიებათა გაერთიანებას საერთაშორისო უშიშროებისა და განმარაღების, ეროვნული დამოუკიდებლობის, თანამშრომლობისა და მშვიდობის ინტერესებისათვის. (საქინფორმი).

დოც. ბ. ჩაგელიშვილი,
ჟურნალ „საქართველოს სოფლის მეურნეობის“ მთავარი რედაქტორი.

● ამგვეგი ფაქტეგი ●

მსოფლიო დღე

საკლესიო და უცხოეთის პრესა

სუვერენული უფლებების განმტკიცებისათვის

გენერალურ კასამბლეაზე

ნიუ-იორკი, 18 დეკემბერი. (საკლესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ ხმების უმრავლესობით მიიღო რეზოლუცია, რომელშიც დადასტურებულია სახელმწიფოთა ხელშეუვალი — თავიანთი ბუნებრივი რესურსებისადმი სუვერენიტეტის უფლება და გამოთქმულია მხარდაჭერა განვითარებადი ქვეყნებისა და დამოკიდებული ტერიტორიების ხალხების ღონისძიებებისადმი ბრძოლაში თავიანთი ქვეყნების ბუნებრივი რესურსების მიმართ ეფექტიანი კონტროლის აღდგენისათვის.

რეზოლუციაში ხაზგასმულია, რომ პირდაპირი ან არაპირდაპირი ზეგავლენის მოხდენა სახელმწიფოებსა და ხალხებზე, რომლებიც გარდაქმნიან თავიანთ საშინაო სტრუქტურას ან ახორციელებენ ბუნებრივი რესურსებისადმი სუვერენულ უფლებებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დარღვევაა და შეიძლება საფრთხე შეუქმნას საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას.

მეორე რეზოლუციაში გენერალურმა ასამბლეამ დაადასტურა არაბული სახელმწიფოების სუვერენიტეტი ისრაელის მიერ ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებზე ეროვნული რესურსებისადმი და არაბული სახელმწიფოების უფლება ბუნებრივი რესურსების ძარცვისათვის, ექსპლოატაციის და ამით მიყენებული ზარალის კომპენსაციისათვის. რეზოლუციაში გადაჭრით გმობენ ისრაელს დაყრობილ არაბულ მიწებზე ადამიანთა და ბუნებრივი რესურსების ექსპლოატაციისათვის.

გარიგება რასისტებთან

ლუსაკა, 18 დეკემბერი. (საკლესი). როგორც იოჰანესბურგიდან იუწყებიან, ამერიკის შეერთებული შტატები აპირებს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდან გაიტანოს დიდძალი ქვანახშირი. კონტრაქტი ქვანახშირის მიწოდებაზე, რომელიც ქვანახშირის შახტების მფლობელთა ტრანსვაალის ასოციაციამ ერთ-ერთ ამერიკულ ფირმასთან დადო, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ერთ-ერთი უდიდესი გარიგებაა ამ დარგში 1970 წლის შემდეგ. ალაბამის შტატის თბოელექტროსადგურისათვის პირველი 500 ათასი ტონა ქვანახშირის მიწოდება დაიწყება 1974 წლის აპრილში. 1975-1976 წლებში ამერიკის შეერთებული შტატები შეისყიდის კიდევ მილიონნახევარ ტონა ქვანახშირს.

რასისტული რაიხის ბიზნესმენებთან ამერიკელ მონოპოლისტთა გარიგება ეწინააღმდეგება აფრიკელი ხალხების და მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობის იმ მოთხოვნებს, რომ ბოიკოტი გამოუცხადონ „აპარტეიდის სახელმწიფოს“.

ეხმაურებიან აგრესორს

ვაშინგტონი, 18 დეკემბერი. (საკლესი). ამერიკის კონგრესის სენატმა 55 ხმით 31 ხმის წინააღმდეგ მოიწონა კანონპროექტი უცხო სახელმწიფოებისადმი 5,5 მილიარდი დოლარის ოდენობით სამხედრო და ეკონომიური დახმარების შესახებ. კანონპროექტი ითვალისწინებს 2,6 მილიარდი დოლარის გამოყოფას ისრაელისათვის სამხედრო და ეკონომიური დახმარების გასაწევად, აქედან 2,2 მილიარდისა — ეგრეთწოდებული „საგანგებო“ პროგრამისათვის ტელ-ავივის სამხედრო მანქანის აღსადგენად. ეს უზარმაზარი ასიგნებანი ისრაელისათვის სენატმა მოიწონა მიუხედავად მთელი რიგი სენატორების, მათ შორის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარის უ. ფულბრაიტის ძლიერი ოპოზიციის მიუხედავად.

მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება

ნიუ-იორკი, 18 დეკემბერი. (საკლესის კორ.). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წრეებში კმაყოფილებით შეხვდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პირველი კომიტეტის გადაწყვეტილებას, რომელმაც ერთსულოვნად ურჩია გენერალურ ასამბლეას დაამტკიცოს რეზოლუციის პროექტი განიარაღების მსოფლიო კონფერენციის შესახებ. დოკუმენტი, რომელიც შეიტანა ხუთმა მიუმხრობელმა ქვეყანამ (ალჟირი, არგენტინა, ინდოეთი, მექსიკა და იუგოსლავია), ითვალისწინებს სპეციალური კომიტეტის შექმნას ყველა იმ თვალსაზრისისა და შეხედულების შესწავლის მიზნით, რომლებიც მთავრობებმა გამოთქვეს განიარაღების მსოფლიო კონფერენციის მოწვევისა და ამასთან დაკავშირებული პრობლემების გამო.

სპეციალური კომიტეტის შემადგენლობაში შეიკრიბენ 40 ქვეყნის წარმომადგენლები.

როგორც ცნობილია, განიარაღების მსოფლიო კონფერენციის მოწვევის ინიციატორია საბჭოთა კავშირი, რომელმაც ეს წინადადება წამოაყენა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 26-ე სესიაზე.

კენჭისყრის მოტივების გამო გამოსვლისას საბჭოთა წარმომადგენელმა ი. ა. მალიმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სპეციალური კომიტეტის შექმნა სასავს, როგორც იქნა, განიარაღების მსოფლიო კონფერენციის პრაქტიკული მომზადების დაწყების შესაძლებლობას.

□

ეს ფაქტი

ოტოხოცდასამი ქვეყნის დელეგაციებმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ახლანდელ სესიაზე ხმა მისცეს საბჭოთა წინადადებას „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრ სახელმწიფოთა სამხედრო ბიუჯეტების 10 პროცენტით შემცირებისა და დაზოგილი სახსრების ნაწილის განვითარებადი ქვეყნებისათვის დასახმარებლად გადაცემის შესახებ“, რომელიც 83 სახელმწიფომ — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრთა დიდმა უმრავლესობამ — მოიწონა გენერალური ასამბლეის მიმდინარე სესიაზე.

ამის შესაბამისად ასამბლეამ წინადადება მისცა უშიშროების საბჭოს ყველა მუდმივ წევრ სახელმწიფოს (სსრ კავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, საფრანგეთი და ჩინეთი) მორიგ საფინანსო წელს თავიანთი სამხედრო ბიუჯეტები 10 პროცენტით შეამცირონ 1973 წლის დონესთან შედარებით და ამრიგად დაზოგილი სახსრების მეათედი გამოყონ განვითარებადი ქვეყნების დასახმარებლად. გენერალურმა ასამბლეამ გამოთქვა აგრეთვე სურვილი, რომ სხვა სახელმწიფოებმაც განახორციელონ ღონისძიებანი თავიანთი სამხედრო ბიუჯეტების შესამცირებლად.

თუ გავითვალისწინებთ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინიციატორებმა, მთელ მსოფლიოში ყოველწლიურად სამხედრო მიზნებისათვის იხარჯება 200 მილიარდ დოლარზე მეტი და მხოლოდ 7 მილიარდი — განვითარებადი ქვეყნებისადმი ეკონომიური დახმარებისათვის, მაშინ ცხადი გახდება, თუ რა დამატებით შესაძლებლობებს უსახავს საბჭოთა კავშირის წინადადების რეალიზაცია ეკონომიური ჩამორჩენილობის დაძლევისათვის მებრძოლი ხალხებისა, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების ხალხებს.

მაგრამ საქმე ამით როდი ამოწურება. გამალებული შეიარაღების შეზღუდვის „ზაზე გადადგმული ახალი ნაბიჯი უთუოდ ხელს შეუწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესის შემდგომ გაფართოებასა და გაღრმავებას, სახელმწიფოთა შორის ურთიერთნდობის განმტკიცებას, ქვეყნად პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღებას. ყოველივე ეს, ბუნებრივია, შეესაბამება ყველა ხალხის, დიდი და პატარა ხალხების, საარსებო ინტერესებს.

ფრიად საგულისხმოა, რომ საბჭოთა წინადადების წინააღმდეგ, რომელსაც ენთუზიაზმით შეხვდა მთელი მშვიდობისმოყვარე საერთაშორისო საზოგადოებრიობა, არ გამოსულან არც ამერიკის შეერთებული შტატები, არც ინგლისი, არც საფრანგეთი. ამ სამი სახელმწიფოს დელეგაციები აღმოჩნდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის იმ 38 წევრს შორის, რომელებმაც თავი შეიკავეს კენჭისყრაში მონაწილეობისაგან. არანაკლებ საგულისხმოა, რომ რეზოლუციის წინააღმდეგ გაილაშქრა მხოლოდ ტრადიციულმა „დუეტმა“ — ჩინეთმა და ალბანეთმა. ეს კიდევ ერთხელ ამხელს მაოისტური ხელმძღვანელობის პოლიტიკის ანტისახელმწიფოებრივ, მშვიდობის ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ არსს.

ამრიგად, მოწონებულია დიდმნიშვნელოვანი რეზოლუცია. საჭიროა ბრძოლა მისი განხორციელებისათვის.

ევროპის მშვიდობისათვის

ჯრაღანი ხელი მოაწერს ხელშეკრულებას ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის ნორმალიზაციის შესახებ. ამავე დროს მათ დაამყარეს დიპლომატიური ურთიერთობა. ამ მოვლენას პოლიტიკური მეთვალყურეები უწოდებენ არა მარტო დიდმნიშვნელოვან ნიშანსვეტს ორი ქვეყნის კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარებაში, არამედ დიდ წვლილსაც მშვიდობიანი ევროპის მშენებლობაში.

ხელშეკრულება უწინარეს ყოვლისა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობას ათავისუფლებს წარსულის მძიმე ბალასტისაგან, ვინაიდან იგი უსაფუძვლოდ აცხადებს მიუხედნის 1938 წლის შეთანხმებას. ამ შეთანხმებამ, რომელიც როგორც ცნობილია, ჩეხოსლოვაკიას თავს მოახვია ჰიტლერული გერმანიამ ძალის მუქარით, მაშინ გამოიწვია ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფოს დანაწევრება და ოკუპაცია. ახლა დადებული ხელშეკრულება ამკვიდრებს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ასლანდელი საზღვრების ხელშეუხებლობას და ადასტურებს იმას, რომ ორივე მხარე უარს ამბობს ძალის გამოყენებასა თუ ძალის გამოყენებით დამუქრებაზე. იგი მტკიცე საფუძველს ქმნის მშვიდობიანი თანაარსებობისა და კეთილმეზობლობის სუფლისკვეთებით ორი სახელმწიფოს ურთიერთობის ყოველმხრივი განვითარებისათვის.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ხელშეკრულების მეორე ასპექტიც, რომელიც სცილდება ორმხრივი ურთიერთობის ფარგლებს. საქმე ის არის, რომ იგი დიდმნიშვნელოვანი რგოლია იმ საერთაშორისო შეთანხმებათა სისტემაში, რომელიც ევროპის მშვიდობის შენობის საიმედო საძირკველი უნდა გახდეს. ამ შეთანხმებებს ერთ-ერთ ადგილზე ეკუთვნის ასევ კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის 1970 წელს დადებული ხელშეკრულება. ამ დიდმნიშვნელოვანმა დოკუმენტმა, რომელმაც დაამკვიდრა ევროპაში ომისშემდგომი საზღვრების ურღვევობის პრინციპი, დაჩქარა სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან, კერძოდ, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის ნორმალიზაციის პროცესი. ახლა ამ ხელშეკრულებათა კომპლექსს ემატება ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის დადებული ხელშეკრულება.

პოლონეთის გაზეთი „ეოლნეკ ვოლნოსტი“ მას უწოდებს „მორიგ ნაბიჯს იმ გზაზე, რომ ბონის ურთიერთობა სოციალისტური თანამგზრობის ქვეყნებთან მოწესრიგდეს მეორე მსოფლიო ომის შედეგების შეუქცევადობის ცნობის საფუძველზე“. მომმხილველები აღნიშნავენ, რომ ახლა დადგა დრო, რომ გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ დიპლომატიური ურთიერთობა დაამყაროს ბულგარეთთან და უნგრეთთან.

ევროპის საზოგადოებრიობის მიერ ამ ღონისძიებათა ფართო მოწოდების ფონზე უეცაურად გამოიყურება დასავლეთ გერმანიის ზოგიერთი წრეების ცდები — სასელი გაუტეხონ სოციალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობის გაუჯობესების პოლიტიკას, რომელსაც ბრანდტის მთავრობა ახორციელებს. განსაკუთრებით სარახის როლს ამაში ასრულებენ ბავარიელი ულტრების ხელმძღვანელი შტრაუსი და ქრისტიანულ--დემოკრატიული კავშირი — ქრისტიანულ-სოციალური კავშირის საპარლამენტო ფრაქციის ლიდერი კარსტენსი, რომელებმაც გაილაშქრეს პრაღაში დადებული ხელშეკრულების წინააღმდეგ.

ევროპის პროგრესული საზოგადოებრიობა კი მიესალმება ამ დოკუმენტს, მიაჩნია იგი მშვიდობის განმტკიცების კონსტრუქციული პოლიტიკის წარმატების ახალ დადასტურებად, რომელსაც საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები ახორციელებენ. (საკლესი).

მდგომარეობა საბერძნეთში

დიქტატურა მძვინვარებს

ლონდონი, 17 დეკემბერი. (საკლესი). როგორც ათენიდან იუწყებიან, საბერძნეთში კვლავ დაიწყო სტუდენტთა დაპატიმრება. დაპატიმრებულთ ბრალად სდებენ 16 და 17 ნოემბერს დემონსტრაციათა გრიეკვის დროს დაღუპული ათენის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა ხსოვნის საჯარო გამოსვლის მომზადებას. ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ ვადამდე დაიხურა უმაღლესი სასწავლებლები საშობაო არდადეგებისათვის. ამ ღონისძიებას განმარტავენ ხელისუფალთა იმ ცდად, რომ თავიდან აიცილონ სტუდენტთა ახალი გამოსვლები.

რადიოსადგურმა „სიმართლის ხმამ“ გადასცა საბერძნეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს განცხადება ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. განცხადებაში აღნიშნულია, რომ 25 ნოემბრს გადატრიალების შედეგად ხელისუფლების სათავეში მოსული ახალი რეჟიმი სულ უფრო ხშირად მიმართავს მასობრივ ჩხრეკას, დაპატიმრებასა და პროვოკაციებს. საბერძნეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრს გეორგის ტრიკალინოსა და სხვა პატიმრებს სასტიკად აწამებენ სამხედრო პოლიციის ჯურმოლეებში, რომლის უფროსი იოანიდისი ახლანდელი რეჟიმის ერთ-ერთი ხელმძღვანელია.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ საბერძნეთის ახლანდელი რეჟიმი ცდილობს ჩაახშოს ხალხის ბრძოლა დიქტატურისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ამავე დროს უარესდება ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა, გრძელდება მშრომელთა ცხოვრების დონის დაქვეითება.

პოლიტბიურო აღნიშნავს, რომ, როგორც 1973 წლის ნოემბრის მოვლენები მოწმობენ, ბერძენ ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი იბრძოლოს დემოკრატიის აღდგენისათვის.

კომუნისტური პარტია მუშათა კლასს, მთელ ხალხს მოუწოდებს ყველგან მოაწყონ ერთიანობის კომიტეტები, შექმნან დიქტატურის წინააღმდეგ მებრძოლი საერთო-ეროვნული ფრონტი. იგი პოლიტიკურ პარტიებსა და ორგანიზაციებს მოუწოდებს ერთად იმოქმედონ დროებითი მთავრობის შექმნისათვის, ორელშიც შეელენ დემოკრატიის აღდგენისათვის მებრძოლი ძალების წარმომადგენლები.

ორმოცი მოკლული, ათასამდე დაჭრილი, 3.000 დაპატიმრებული — ასეთია საბერძნეთის ხელისუფალთა მიერ შვაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა წინააღმდეგ მიმართული იმ რეპრესიების შედეგები, რაც განახორციელეს სტუდენტთა ამასწინანდელი მასობრივი გამოსვლის პასუხად. ეს მონაცემები მოყვანილია დოკუმენტში, რომელიც გაავრცელეს საზღვარგარეთ მყოფი ბერძენი სტუდენტების საკოორდინაციო ბიურომ წარმომადგენლებმა ევროპის სტუდენტთა მე-11 ტრადიციულ შეხვედრაში მონაწილეობის დროს.

სურათზე: სტუდენტებს მიეყვათ მძიმედ დაჭრილი ამხანაგი დემონსტრაციის დარბევის შემდეგ.

კამერა პრეს-საკლესის ფოტო.

ადასტურებენ მოწმენი

ორიგი დანაშაულობანი

ბოლნი, 18 დეკემბერი. (საკლესი). ჩილეში ფაშისტური ხუნტის ახალ დანაშაულებს ატყობინება გაზეთი „ფრანკფურტერ რუნდშაუ“. უკვე ცნობილ საკონცენტრაციო ბანაკებთან ერთად, აღნიშნავს გაზეთი, ჩილეს სამხედრო ხუნტამ შექმნა სხვა ბანაკებიც, სადაც ფარულად ახალგაზრდებ სახალხო ერთიანობის თავლასჩინო მოღვაწეებსა და პრეზიდენტ ალიენდეს მომხრეებს. „ფრანკფურტერ რუნდშაუ“ აღწერს ერთ-ერთ ასეთ ბანაკს, რომელიც ხუნტას შეუქმნია პროვინციული ქალაქის სან-ბერნარდოს (სანტიაგოს პროვინცია) მახლობლად. ამ ბანაკის არსებობა გამოარკვია ერთმა ჩილელმა კომუნისტმა — მას არ ასახელებენ დასაგები მიზეზების გამო, ამ კაცმა ცოტა ხნის წინათ წარმოუდგენელი სიძნელის მიუხედავად შეძლო იქიდან გაქცევა. იგი ამბობს, რომ პატიმრები ჰყავთ ღია ცის ქვეშ, ციხის ზედამხედველნი შაშხანების კონდახებით სცემენ პატიმრებს, აწამებენ ელექტროდენით, უკარებენ სახსრებს. წყობა საათობით ვრძელდება. დღეში რამდენჯერმე სჯიან სიკვდილით. არავინ არ იცის, როდის დადგება მისი ჯერი. ბანაკის რაიონში მეფდამ ისმის ბულდოზერის გუგუნი, რომელიც თხრის ორმოებს, სადაც შემდეგ გვამებს ყრიან.

ბუენოს-აირესი, 18 დეკემბერი. (საკლესი). არგენტინის გაზეთმა „ნოტისიასმა“ გამოაქვეყნა წერილი, რომელიც ეკეთვისებელი ერების ორგანიზაციას გაუგზავნა ჩილელ და ლათინურამერიკელ ლტოლვილთა ჯგუფმა. ეს გამოექვნენ ფაშისტური ხუნტის დევნას. წერილის ავტორებს მოჰყავთ მრავალი ფაქტი, რომლებიც უკიდურესად ამხილებენ რეაქციული მხედრიონის დანაშაულებრივ მოქმედებას.

წერილში აღნიშნულია, რომ ჩილეს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ენრიკე პარისი (ეს, დანით მოკლენილი ჭრილობებისა და ელექტროდენით წამების შედეგად გარდაიცვალა. ქალაქ სან-ანტონიოში ჯარისკაცებმა მხეცურად მოკლეს მშრომელთა ერთიანი პროფკავშირის ადგილობრივი განყოფილების თავმჯდომარე. მისი გვამი რამდენიმე დღის შემდეგ იპოვეს დაჩეხილი.

საკლესის კომენტარი

პეკინის თვითიზოლაცია

ოთხმოცდასამი ქვეყნის დელეგაციებმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ახლანდელ სესიაზე ხმა მისცეს საბჭოთა წინადადებას „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრ სახელმწიფოთა სამხედრო ბიუჯეტების 10 პროცენტით შემცირებისა და დაზოგილი სახსრების ნაწილის განვითარებადი ქვეყნებისათვის დახმარების გასაწევად გამოყენების შესახებ“. საბჭოთა ინიციატივა გზას უხსნის გამალებული შეიარაღების შეზღუდვისათვის კონკრეტული ღონისძიების მიღწევის, აგრეთვე საშუალებას იძლევა საერთაშორისო დაძაბულობის პოლიტიკური შენელების პროცესს დაემატოს სამხედრო დაძაბულობის შენელება.

საბჭოთა წინადადების მნიშვნელოვანმა მხარდაჭერამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გაიფურება გამოიწვია პეკინში. ჩინეთისა და ალბანეთის დელეგაციები გამოვიდნენ საბჭოთა წინადადების წინააღმდეგ. ეს ფაქტი იმას მოწმობს, თუ რა შორს არის ჩინეთი ეროვნული ინტერესებისაგან, რომელიც დღეს ჭარბობს მსოფლიოში. პირველი შემთხვევა როდია, რომ ჩინეთი იზოლირებული აღმოჩნდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში აქტუალური საერთაშორისო პრობლემების გადაჭრისას.

როგორც ცხოვრება გვიჩვენებს, ჩინეთის ხელმძღვანელებს არ სურთ არც საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, არც სამხედრო ბიუჯეტების შემცირება, ისინი ფრიად უარყოფითად უკიდებენ ატომური და ჩვეულებრივი სახეობის შეიარაღების აკრძალვას, განიარაღებას, კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნას ევროპაში. მათ დიდმპყრობელურ, ჰეგემონისტურ კურსს უფრო შეეფერება. გამალებული შეიარაღების, საერთაშორისო დაძაბულობის გაძლიერება, ხმეზედრო ბლოკებისა და ხელშეკრულებების, კერძოდ ნატოსა და იაპონია-ამერიკის „უშიშროების ხელშეკრულების“ შენარჩუნება.

მ. იაკოვლევი,
(საკლესის მიმომხილველი).

ამგვეგი ფაქტეგი

ინფორმაციის ტალღებზე

ინფორმაციის ტალღებზე

ოთხლის სტიქიის ტყვეობაში

ნიუ-იორკი, 17 დეკემბერი. (საკლესი). ამერიკის შეერთებული შტატების აღმოსავლეთ სანაპიროს პირველად ამ ზამთარს თავს დატყდა დიდი თოვლი, რომელმაც გააჭარწყლა ამერიკელთა იმედი, დღემდე თბილი ამინდი შეიძლება მომავალი წლის გაზაფხულამდე გაგრძელდეს. თოვლიანი ზამთრისათვის მოუმზადებელი ქალაქები თოვლის სტიქიის ტყვეობაში აღმოჩნდნენ.

ვაშინგტონში თოვლის საფარველმა 15 სანტიმეტრს მიაღწია. ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქი, სადაც პრაქტიკულად არ არის საზოგადოებრივი ტრანსპორტი, მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა.

შემთხვევა რომის აეროპორტში

რომი, 17 დეკემბერი. (საკლესი). ფიუმიჩინოს აეროპორტში ტერორისტთა ჯგუფმა ცეცხლგამჩენი ბომბი ესროლა „პან-ამერიკენის“ ავიაკომპანიის „ბოინგ-707“ თვითმფრინავს და ხელი იგდო მეორე თვითმფრინავი — „ბოინგ-737“, რომელიც დასავლეთ გერმანიის „ლუფტგანზის“ ავიაკომპანიას ეკუთვნის. მგზავრთა შორის არის მსხვერპლი.

ამოფრქვევის მოლოდინში

მელბურნი, 18 დეკემბერი. (საკლესი). წუნარი ოკეანის სამხრეთ ნაწილში მდებარე ახალი გებრიდების არქიპელაგის სანტა-მარიას კუნძულის მთელი მოსახლეობა — 500-მდე კაცი გახიზნული მეზობელ ვანუა-ლავის კუნძულზე. „გამოცოცხლდა“ სანტა-მარიას კუნძულზე მდებარე ვულკანი და სეისმოლოგებმა, რომლებიც დაკვირვებას აწარმოებენ კუნძულზე, გამოაცხადეს, რომ მოსალოდნელია 800 მეტრიანი გარეტის ვულკანის ამოფრქვევა. ახალი წლის წინ. გახიზნვის შემდეგ კუნძულზე დარჩა ორი გულადი მცხოვრები, რომლებმაც გადაწყვიტეს განაგრძონ ვულკანზე დაკვირვება.

იწვის ნავთობი

ნიუ-იორკი, 18 დეკემბერი. (საკლესი). უკვე თითქმის ორი კვირაა 40 მეტზე ქალაქ გლენროკიდან (ვაიომინგის შტატი) გრძელდება ხანძარი ნავთობის ჭაბურღილში, რომელიც 60 ტონამდე ნავთობს იძლევა საათში. სპეციალური რაზმების ყოველგვარი ცდების მიუხედავად ხანძრის ჩაქრობა ვერ მოხერხდა.

ახალი ნაბიჯი მშვიდობის გზაზე

დიდმნიშვნელოვანი რეზოლუცია

საშიში გამალებული შეიარაღების შეზღუდვა და ომის საფრთხის შენელება, ყველა ხალხის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, დაბოლოს, დაძლევა განვითარებადი ქვეყნების ეკონომიური ჩამორჩენილობისა, რომელიც მათ მემკვიდრეობად დაუტოვა კოლონიურმა წარსულმა, — ასეთია თანამედროვეობის ურთიერთდაკავშირებული აქტუალური პრობლემები. სწორედ ამ პრობლემების გადაჭრის დაჩქარებას ისახავს მიზნად საბჭოთა კავშირის მიერ წამოყენებული რეზოლუცია „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი სახელმწიფოების სამხედრო ბიუჯეტების 10 პროცენტით შემცირებისა და დაზოგილი სახსრების ნაწილის განვითარებადი ქვეყნებისათვის დასახმარებლად გადაცემის შესახებ“, რომელიც 83 სახელმწიფომ — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრთა დიდმა უმრავლესობამ — მოიწონა გენერალური ასამბლეის მიმდინარე სესიაზე.

ამის შესაბამისად ასამბლეამ წინადადება მისცა უშიშროების საბჭოს ყველა მუდმივ წევრ სახელმწიფოს (სსრ კავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, საფრანგეთი და ჩინეთი) მორიგ საფინანსო წელს თავიანთი სამხედრო ბიუჯეტები 10 პროცენტით შეამცირონ 1973 წლის დონესთან შედარებით და ამრიგად დაზოგილი სახსრების მეათედი გამოყონ განვითარებადი ქვეყნების დასახმარებლად. გენერალურმა ასამბლეამ გამოთქვა აგრეთვე სურვილი, რომ სხვა სახელმწიფოებმაც განახორციელონ ღონისძიებანი თავიანთ სამხედრო ბიუჯეტების შესამცირებლად.

თუ გავითვალისწინებთ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინიციატორებმა, მთელ მსოფლიოში ყოველწლიურად სამხედრო მიზნებისათვის იხარჯება 200 მილიარდ დოლარზე მეტი და მხოლოდ 7 მილიარდი — განვითარებადი ქვეყნებისადმი ეკონომიური დახმარებისათვის, მაშინ ცხადი გახდება, თუ რა დამატებით შესაძლებლობებს უსახავს საბჭოთა კავშირის წინადადების რეალიზაცია ეკონომიური ჩამორჩენილობის დაძლევისათვის მებრძოლი ხალხებისა, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების ხალხებს.

მაგრამ საქმე ამით როდი ამოწურება. გამალებული შეიარაღების შეზღუდვის „ზაზე გადადგმული ახალი ნაბიჯი უთუოდ ხელს შეუწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესის შემდგომ გაფართოებასა და გაღრმავებას, სახელმწიფოთა შორის ურთიერთნდობის განმტკიცებას, ქვეყნად პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღებას. ყოველივე ეს, ბუნებრივია, შეესაბამება ყველა ხალხის, დიდი და პატარა ხალხების, საარსებო ინტერესებს.

ფრიად საგულისხმოა, რომ საბჭოთა წინადადების წინააღმდეგ, რომელსაც ენთუზიაზმით შეხვდა მთელი მშვიდობისმოყვარე საერთაშორისო საზოგადოებრიობა, არ გამოსულან არც ამერიკის შეერთებული შტატები, არც ინგლისი, არც საფრანგეთი. ამ სამი სახელმწიფოს დელეგაციები აღმოჩნდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის იმ 38 წევრს შორის, რომელებმაც თავი შეიკავეს კენჭისყრაში მონაწილეობისაგან. არანაკლებ საგულისხმოა, რომ რეზოლუციის წინააღმდეგ გაილაშქრა მხოლოდ ტრადიციულმა „დუეტმა“ — ჩინეთმა და ალბანეთმა. ეს კიდევ ერთხელ ამხელს მაოისტური ხელმძღვანელობის პოლიტიკის ანტისახელმწიფოებრივ, მშვიდობის ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ არსს.

ამრიგად, მოწონებულია დიდმნიშვნელოვანი რეზოლუცია. საჭიროა ბრძოლა მისი განხორციელებისათვის.

ევროპის მშვიდობისათვის

ჯრაღანი ხელი მოაწერს ხელშეკრულებას ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის ნორმალიზაციის შესახებ. ამავე დროს მათ დაამყარეს დიპლომატიური ურთიერთობა. ამ მოვლენას პოლიტიკური მეთვალყურეები უწოდებენ არა მარტო დიდმნიშვნელოვან ნიშანსვეტს ორი ქვეყნის კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარებაში, არამედ დიდ წვლილსაც მშვიდობიანი ევროპის მშენებლობაში.

ხელშეკრულება უწინარეს ყოვლისა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობას ათავისუფლებს წარსულის მძიმე ბალასტისაგან, ვინაიდან იგი უსაფუძვლოდ აცხადებს მიუხედნის 1938 წლის შეთანხმებას. ამ შეთანხმებამ, რომელიც როგორც ცნობილია, ჩეხოსლოვაკიას თავს მოახვია ჰიტლერული გერმანიამ ძალის მუქარით, მაშინ გამოიწვია ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფოს დანაწევრება და ოკუპაცია. ახლა დადებული ხელშეკრულება ამკვიდრებს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ასლანდელი საზღვრების ხელშეუხებლობას და ადასტურებს იმას, რომ ორივე მხარე უარს ამბობს ძალის გამოყენებასა თუ ძალის გამოყენებით დამუქრებაზე. იგი მტკიცე საფუძველს ქმნის მშვიდობიანი თანაარსებობისა და კეთილმეზობლობის სუფლისკვეთებით ორი სახელმწიფოს ურთიერთობის ყოველმხრივი განვითარებისათვის.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ხელშეკრულების მეორე ასპექტიც, რომელიც სცილდება ორმხრივი ურთიერთობის ფარგლებს. საქმე ის არის, რომ იგი დიდმნიშვნელოვანი რგოლია იმ საერთაშორისო შეთანხმებათა სისტემაში, რომელიც ევროპის მშვიდობის შენობის საიმედო საძირკველი უნდა გახდეს. ამ შეთანხმებებს ერთ-ერთ ადგილზე ეკუთვნის ასევ კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის 1970 წელს დადებული ხელშეკრულება. ამ დიდმნიშვნელოვანმა დოკუმენტმა, რომელმაც დაამკვიდრა ევროპაში ომისშემდგომი საზღვრების ურღვევობის პრინციპი, დაჩქარა სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან, კერძოდ, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის ნორმალიზაციის პროცესი. ახლა ამ ხელშეკრულებათა კომპლექსს ემატება ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის დადებული ხელშეკრულება.

პოლონეთის გაზეთი „ეოლნეკ ვოლნოსტი“ მას უწოდებს „მორიგ ნაბიჯს იმ გზაზე, რომ ბონის ურთიერთობა სოციალისტური თანამგზრობის ქვეყნებთან მოწესრიგდეს მეორე მსოფლიო ომის შედეგების შეუქცევადობის ცნობის საფუძველზე“. მომმხილველები აღნიშნავენ, რომ ახლა დადგა დრო, რომ გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ დიპლომატიური ურთიერთობა დაამყაროს ბულგარეთთან და უნგრეთთან.

ევროპის საზოგადოებრიობის მიერ ამ ღონისძიებათა ფართო მოწოდების ფონზე უეცაურად გამოიყურება დასავლეთ გერმანიის ზოგიერთი წრეების ცდები — სასელი გაუტეხონ სოციალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობის გაუჯობესების პოლიტიკას, რომელსაც ბრანდტის მთავრობა ახორციელებს. განსაკუთრებით სარახის როლს ამაში ასრულებენ ბავარიელი ულტრების ხელმძღვანელი შტრაუსი და ქრისტიანულ--დემოკრატიული კავშირი — ქრისტიანულ-სოციალური კავშირის საპარლამენტო ფრაქციის ლიდერი კარსტენსი, რომელებმაც გაილაშქრეს პრაღაში დადებული ხელშეკრულების წინააღმდეგ.

ევროპის პროგრესული საზოგადოებრიობა კი მიესალმება ამ დოკუმენტს, მიაჩნია იგი მშვიდობის განმ



თბილისი დღეს

სურათებზე: მარცხნივ — სასტუმრო „აჭარის“ შენობის ხედი; ქვემოთ — რუსთაველის მოედანი ღამით.

ნ. მლებროვიხა და მ. დათიკაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



სასამართლო დარბაზიდან

ანდრო იოსების-ძე ირემაშვილი ერთადერთი გაეიშვილი იყო ოჯახში და ბავშვობიდანვე განებივრეს, თვითნებობას და უსაქმობას ძიაჩვიეს. როცა წამოიზარდა, ცუდი აღზრდის შედეგებმა თანდათან იჩინა თავი. — ვერც სწავლას დაუდო გული, ვერც შრომას. იოლი ცხოვრების გზას ეძებდა და ამაში მშობლებიც ხელს უწყობდნენ.

სოფელ ბოდბეში (თეთრი წყაროს რაიონი) ყველა კარგად ხედავდა, რომ ბიჭი თანდათან წავიდა ხელიდან. ცხრამეტი წლისას მშობლებმა ცოლი შეერთეს. ოჯახს რომ მოეკიდება, იქნებ ჭკუაში ჩავარდესო, ახალ ოჯახში მალე ვაჟიშვილიც გაჩნდა. ეს იყო ახალგაზრდა დედის ერთადერთი სიხარული. ქმარი მას უდიერად ეპყრობოდა, არ მუშაობდა, ცოლ-შვილს ყურადღებას არ აქცევდა.

კოლმეურნეობამ ანდრო ირემაშვილი მეთოდისტის კურსებზე გაგზავნა, სწავლის ფულიც გადაუხადეს, ვარაუდობდნენ, რომ კურსების დამთავრების შემდეგ სოფელში დაბრუნდებოდა და მიღებულ ცოდნას მშობლიურ სოფელს მოახმარდა, მაგრამ ასე არ მოხდა. იგი სოფელ კოდის მეფრინველეობის ფაბრიკაში გაადგილეს სამუშაოზე. სინამდვილეში იქაურობას ერთი დღეც არ გაჩერებია.

აუტანელი მდგომარეობის გამო ცოლი იძულებული გახდა დაეტოვებინა ოჯახი და გასცილებოდა ქმარს, მაგრამ მას მეორე უსიამოვნება დაემიღე და აქედან სწრაფად აიღესე. გაფრთხილებ, ირსად თქვა, თორემ სიცოცხლესაც დაკარგავ.

მძღოლი მაშინვე გამობრუნდა მანქანით, ოქტომბრის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებაში მივიდა და მორიგეს ყოველივე უამბო.

განყოფილების ოპერატიული ჯგუფი ლევან მგალობლიშვილის მეთაურობით იმავე მანქანით მაშინვე გავიდა დანაშაულის ჩადენის ადგილისაკენ, დაიარეს ახლომახლო ქუჩები, მაგრამ დამნაშავეს ვერ მიაგნეს და განყოფილებაში დაბრუნდნენ.

ირემაშვილი ხალილ მამედოვის გაძარცვით არ დაკმაყოფილდა და ახალი მსხვერპლის ძებნაში ცხრა ძმის ქუჩას გაუყვა. მას გზაში შეხვდა იმ უბანში მცხოვრები 16 წლის რაზმიკ ჯავოიანი, რომელსაც შორიდან იცნობდა, და უთხრა გაჩყოლოდა მს.

— ტყუილად რას დგეხარ ქუჩაში, წამომყვ და ფული ვიმოვოთო — უთხრა ირემაშვილმა და თანაც დასძინა: ტაქსი გამოვიჭიროთ, გავიყვანოთ მყუდრო, ბნელ ქუჩაში და გავძარცოთ.

რაზმიკ ჯავოიანმა სიამოვნებით მიიღო ეს წინადადება და შეუდგნენ დასახული მიზნის განხორციელებას. თავისუფალი ტაქსიც მალე მონახეს (გრშ № 71-77) და ჩასხდნენ კიდეც. ირემაშვილმა მძღოლს უბრძანა ციშის ქუჩაზე გასვლა, — იქ მექანიკურ ქარხანაში ამხანაგი მიეცდისო.

ტაქსის მძღოლს ს. მესხიშვილს არ ესიამოვნა ასე მოგვიანებით განაპირა მხარეს წასვლა, მგზავრებიც საეჭვონი ჩანდნენ, მაგრამ რას იზამდა, თხოვნა შეუსრულა.

როცა ირემაშვილი გზასაძარცვავად მიზანში ამოღებული მანქანით ციშის ქუჩისაკენ მიემართებოდა, ამ დროს მილიციის მუშაკი ლევან მგალობლიშვილი რუბენ დეკდარიანის თანხლებით ხალილ მამედოვთან ერთად მანქანით განაგრძობდა მორიგეობას ქალაქში. ა. ირემაშვილმა მძღოლ ს. მესხიშვილს მანქანა გააჩერებინა მექანიკურ ქარხანასთან (თბილისის იმავე ადგილას, სადაც პირველი ტაქსის მძღოლი გაძარცეს) და ადამოვიდა მანქანიდან. სწორედ ამ მომენტში ბორტმეკანიკოსების მძებნელებიც მოულოდნელად მიუახლოვდნენ იქ გაჩერებულ ტაქსის.

— დაავარდი კარგად იმ ტაქსიდან გადმოსულს, იქნებ ეგ არის, ვისაც დავეძებთ, — უთხრა ლ. მგალობლიშვილმა ხ. მამედოვს.

ხ. მამედოვმა მანქანა მიანათა და მაშინვე იცნო ჩაშვებული, წინ განაპსკული თეთრი პერანგით მძარცველი.

— სწორედ ეგ არის! — წამოძახა ხ. მამედოვმა.

ლ. მგალობლიშვილმა პისტოლეტი მოიმარჯვა, მანქანიდან გადმოვიდა და ირემაშვილისაკენ გაემართა. სულ ორიოდე ნაბიჯიღა აკლდა მასთან მისვლას, რომ შესძახა:

— ადგილიდან არ დაიძრა, იარაღი დაადგე და დაგვნებდი. ა. ირემაშვილმა სწრაფად იძრო იარაღი და ლ. მგალობლიშვილს ესროლა. ამ უკანასკნელს ტყვია მოხვდა გულმკერდის არეში და სასიკვდილოდ დაჭრილი წაიქცა. ყაჩაღმა ა. ირემაშვილმა რამდენიმე ტყვია ესროლა ხ. მამედოვს მანქანაში. ორი ტყვია მანქანას მოხვდა, მაგრამ შიგ მსხდომთ აცდა. ა. ირემაშვილი მიიმალა. მძღოლებმა მაშინვე მანქანები შემოაბრუნეს და განყოფილებაში გამოცხადდნენ, თან წამოიყვანეს რაზმიკ ჯავოიანი.

მძიმედ დაჭრილ ლ. მგალობლიშვილს სასწრაფოდ აღმოუჩინეს საექიმო დახმარება, მაგრამ ვერ გადაარჩინეს.

მილიციის მიერ მიღებული ზომების შედეგად ყაჩაღი და მკვლელი მალე შეპყრობილ იქნა.

სამ დღეს მიმდინარეობდა საჩვენებელი პროცესი რკინიგზელთა კლუბში. საქმე განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ უმაღლესი სასამართლოს წევრის ავ. სულავას თავმჯდომარეობით. და, ანდრო იოსების-ძე ირემაშვილს მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა—დახვრეტა, არასრულწლოვან რაზმიკ ჯავოიანს კი შეეფარდა ორი წლით თავისუფლების აღკვეთა.

ვ. ხმალაძე.

ავინდი

დღეს, 19 დეკემბერს, თბილისში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, სუსტი ქარი, ტემპერატურა 7-9 გრადუსი სითბო.

საქართველოს ქალაქებში

გვატყობინებს ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი

სიახლე, ძიებაა

მეტალურგიულ ქარხანაში სისტემატურად ნერგავენ ახალს, მოწინავეს, პროგრესულს. დიდი ეკონომიური ეფექტი შექმნა მარტენის საამქროში ახალი სამიქსერო განყოფილების საექსპლოატაციოდ გადაცემამ. ახლა აქ სასურველი ტემპერატურის ქვეშ ინახავენ ბრმედის საამქროდან მიღებულ თუჯს. ეს კი უდიდეს გავლენას ახდენს ფოლადის დნობის ტექნოლოგიური რეჟიმის დაცვაზე.

გმირის მამა — რუსთავში

ამ დღეებში მეტალურგთა ქალაქის სტუმარი იყო „ახალგაზრდა გვარდიის“ ერთ-ერთი წევრის ლიდა ანდროსოვას მამა მაკარი ტიმოთეს-ძე ანდროსოვი. მასთან ერთად აქ იმყოფებოდნენ კომკავშირის ლენინჩანსკის საქალაქო კომიტეტის მდივანი გ. კოლომიეცი, ლენინჩანსკის პედსასწავლებლის ახალგაზრდა. გვარდიელთა მუზეუმის საბჭოს წევრები ვ. ბუტენკო და ვ. ბელიაკოვი.

ძვირფას სტუმრებს შეხვედრა მოუწყეს ქალაქის მე-12 საშუალო სკოლაში.

კაფე „მერანი“

კაფე „მერანი“ რუსთაველ მრჩომელთა კულტურული დასვენების ნამდვილი კერაა. თავისუფალ დროს აქ იკრიბებიან ახალგაზრდები, ეწყობა ლიტერატურული დისპუტები, შეხვედრები სამამული ომისა და შრომის ვეტერანებთან. „მერანი“ ტრადიციულად მასპინძლობს მაშინაც, როცა ახალგაზრდობა მიემგზავრება სამხედრო ნაწილებში, როცა რომელიმე მუშას უხდიან იუბილეს. ახალგაზრდობას აქ იზიდავს მომსახურების მაღალი დონე, ნამდვილი სტუმართმოყვარეობა.

დაბალდების დღეს...

კარგი ტრადიცია დამკვიდრდა ფაფუტერგიელ ქარხანაში. კადრის მუშების დაბადების დღეს საამქროებში ეწყობა საზეიმო შეხვედრები. ეგრეთ წოდებულ „იუბილარებს“ აძლევენ სიგელებს, ვაშლებს, სხვა ფასიან საჩუქრებს.

სახლებში კი იგზავნება მისალოცი წერილები, რომლებსაც ხელს აწერენ ქარხნის სამეურნეო, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ხელმძღვანელები.

ასე აღინიშნა კადრის მეტალურგების ი. ქოქიაშვილის, კ. კანდელაკის, ა. ბლაამის, მ. ტყემალაძის, რ. ჯულაყიძის, გ. შუკაკიძის, ა. ჯიოევის, ლ. შავიშვილის და სხვების დაბადების დღეები.

ზ. მერკვილაძე.

ცნობები ადგილებიდან

ატს-ი სოფლად

გეგეჭკორი. (საკ. კორ.). რაიონის ერთ-ერთ დიდ სოფელში — ბანძაში დამთავრდა 100-ნომრიანი ავტომატური სატელეფონო სადგურის მშენებლობა. საექსპლოატაციოდ გადასცეს აგრეთვე ადგილობრივი მნიშვნელობის რადიოსადგური.

მუშებს—უფასო საგზურები

ბათუმი. (საკ. კორ). წელს ბათუმელმა მანქანათმშენებლებმა სამასამდე პროფკავშირული საგზური მიიღეს, აქედან 130 საგზური უფასოდ, ხოლო დანარჩენი — შეღავათიან ფასებში. გარდა ამისა, მუშები სარგებლობენ ტურისტული საგზურებით. 10 მუშა სამოგზაუროდ იმყოფებოდა უცხოეთში.

გულსაბილი გაცილება

ამბროლაური. (საკ. კორ.). ოცდათორმეტი წელი ემსახურებოდა მართლწესრიგის დაცვის საქმეს მილიციის მაიორი გენადი სოსიასა-ძე დონაძე. რიგითი მილიციონერიდან მან განვლო გზა შინაგან საქმეთა სამინისტროს რაიონული განყოფილების უფროსამდე. ამას წინათ საბჭოთა კანონიერების ერთგული გუშაგი პენსიაზე გავიდა. რაიონულმა აქტივმა და თანამებრძოლებმა პენსიონერ მილიციელს გულთბილი გაცილება მოუწყეს.

„სკოლა და ცხოვრება“ № 12

გამოვიდა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ყოველთვიურ სამეცნიერო-პედაგოგიურ ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ მორიგი, მეთორმეტე ნომერი.

ო. ს. კერძაია

ერთგული ბიბლიოთეკა

გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი 1943 წლიდან, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრის მოადგილე, **ოთარ სილიბისტროს-ძე კერძაია.**

იგი დაიბადა 1918 წელს ბეგეჭკორის რაიონის სოფელ ბანძაში, მოსამსახურის ოჯახში.

ო. კერძაია ერთი იმათთაგანია, ვინც თავისი თავდადებული შრომით საპატიო წვლილი შეიტანა ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირულ და პარტიულ ცხოვრებაში, სამეურნეო მშენებლობაში. შრომითი საქმიანობა მან დაიწყო 1937 წელს ქ. თბილისის № 102 არასრულ სამუალო სკოლაში, სადაც მასწავლებლად მუშაობდა. 1942-44 წლებში იგი საქართველოს ალკკ თბილისის ორგანიზაციებში სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობებზეა, 1944-46 წლებში საქართველოს ალკკ თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიონის პირველი მდივანია.

1948-52 წლებში ო. კერძაია სხვადასხვა პასუხსაგებ პარტიულ სამუშაოზეა. 1952 წელს მას ირჩევენ საქართველოს კპ აბაშის რაიონის პირველ მდივნად, სადაც 1955 წლამდე მუშაობდა. შემდგომ წლებში იგი მუშაობდა საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში პასუხისმგებელ ორგანიზატორად, პარტიული ორგანოებიდან. 1963-65 წლებში — საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის განყოფილების გამგეა. იგი 1955-1959 წლებში იყო საქართველოს სსრ მე-4 მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. სხვადასხვა დროს არჩეული იყო საქართველოს კპ ქუთაისის საოლქო კომიტეტის წევრად და ქუთაისის საოლქო საბჭოს დეპუტატად. 1966 წლიდან იგი საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრის მოადგილეა.

პასუხსაგებ პარტიულ და სამეურნეო თანამდებობებზე მუშაობას ო. კერძაია წარმატებით უთავსებდა თავისი იდეურ-პოლიტიკური ცოდნის ამაღლებას. მან დამთავრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის უმაღლესი პარტიული სკოლა და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტი.

ო. კერძაია დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის“ ორი ორდენით, მედლებითა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით.

პრინციპული, სპეტაკი და გულისხმიერი ადამიანის, ო. კერძაიას ხსოვნა მარად დარჩება მათ გულში, ვისაც კი მასთან საქმიანი ურთიერთობა ჰქონია.

სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის სამინისტრო; საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრო; საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო; საქართველოს სსრ სახმშენი; საქართველოს სსრ მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკთა პროფსიული კავშირის რესპუბლიკური კომიტეტი.

ჭიდაობა

ხალიჩაზე არიან იუნიორები

ფალავანთა კლუბში დამთავრდა თბილისის პირველი პიონერული ქალაქური ჭიდაობაში იუნიორთა შორის.

კარგად იასპარეზეს ძმებმა ხატიაშვილებმა — თენგიზი ჩემპიონი გახდა მჩატე წონით კატეგორიაში, ხოლო თამაზი მეორე ადგილზე გამოვიდა 57 კილოგრამის წონით კატეგორიაში.

ასევე წარმატებით იჭიდავეს ძმებმა თამაზ და მიხეილ მანაშეროვებმა. ისინი ქალაქის ჩემპიონები გახდნენ, შესაბამისად, 62 და 74 კილოგრამ წონით კატეგორიებში.

დანარჩენ წონებში გაიმარჯვეს: მ. თავაძემ, დ. ლოლაძემ, ნ. რუჩეკაშვილმა, კ. ღარიბაშვილმა და ზ. მელაშვილმა.

ძალოსნობა

კვლავ ჟაბოტინსკი!

ტუაფსეში ბრძოლაში ჩაებნენ გოლიათები. 20 ქვეყნიდან წონის სპორტსმენი ეცილებოდა ერთმანეთს პირველობას ცალკეულ მოძრაობებში. ორიგე ვარჯიშში ყველას აჯობა მსოფლიოს რეკორდსმენმა და ჩემპიონმა დავით რიგერტმა. მან აიტაცა 160 კილოგრამი და აკრა 207 კილოგრამიანი შტანგა. ამასთან დ. რიგერტმა ორივე ჯერ იერიშმი მიიტანა. მსოფლიო რეკორდებზე, მაგრამ ამაოდ.

ატაცში ვერცხლის მედალი მოიპოვა ლენინგრადელმა ბ. სელიცკიმ, ბრინჯაოსი — კიეველმა ს. ტოდენტმა ს. პოლტორაცკიმ. აღსანიშნავია, რომ ორივემ, ისევე როგორც გამარჯვებულმა, უჩვენა ერთნაირი წონა — 160 კილოგრამი. აკრაში პრიზიორები გახდნენ არმიელი ე. პენკოვსკი და პოლტორაცკი. ორივემ აკრა 205 კგ.

პოლტორაცკიმ სეფიოზული წინააღმდეგობა გაუწია მსოფლიოს ჩემპიონს თასისთვის ბრძოლაშიც. ორი მოძრაობის ჯამში, რიგერტისათვის რომ ეჯობნა, მან მოინდომა 210 კილოგრამის აკვრა, მაგრამ ვერ შეძლო. ამიტომ, თასი რიგერტს დარჩა (367,5 კგ), პოლტორაცკი მეორე ადგილზე გამოვიდა (365 კგ.), მესამეზე — პენკოვსკი (360 კგ.).

დიდი ხნის შესვენების შემდეგ ტოკიოსა და მენიკის ოლიმპიადების ჩემპიონი, 36 წლის ზაპოროჟიელი შტანგისტი ლეონიდ ჟაბოტინსკი კვლავ ბრწყინვალედ გამოდგა ასპარეზობაში. გუშინ სსრ კავშირის თასისათვის შეჯიბრებაზე, მეოთხე დამატებით ცდაში მან აიტაცა 183,5 კილოგრამი, რაც 0,5 კილოგრამით აღემატება მსოფლიო რეკორდს მეორე მძიმე წონაში. იგი ეკუთვნოდა რუდოლფ მანგს (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) და მხოლოდ რამდენიმე დღეს იარსება.

ფარიკაობა

საქართველოს თასზე

თბილისში დამთავრდა პირადი შეჯიბრება საქართველოს თასზე.

განსაკუთრებით ჯრგან იასპარეზეს საქართველოს დედაქალაქის წარმომადგენლებმა. საკავშირო ახალგაზრდული თამაშების მეორე პრიზიორმა დარეჯან ჩიქოვანმა (სკა) მოიგო რაპირისტთა ტურნირი. საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენელი გ. მეშველიანი უძლიერესი იყო რაპირისტ ვაჟებში.

ხუთ-ხუთი გამარჯვება მოიპოვეს ფინალში თასის ორგზის მფლობელმა ხლოთ ფარიკაობაში ა. კიკნაძემ (ფიზკულტურის ინსტიტუტი), ხოლო დაშნით ბრძოლაში თ. ბანაგაძემ (პოლიტექნიკური ინსტიტუტი).

ვ. ნაღარაშვილი.

ქალთა საკავშირო ჩემპიონატი

უკანასკნელ ჰაიკამდე

ლიდერობს კოზლოვსკაია

სულ ორიოდე წლის წინათ კოზლოვსკაია არათანაბრად თამაშობდა. ხან პირველ ჯიღდოს ეუფლებოდა, ხან საბურნირო ცხრილის შუაგულში აღმოჩნდებოდა ხოლმე. ახლა, მიმმოხილველთა საერთო აზრით, პიატიგორსკელ ოსტატს დიდი წინსვლა ემჩნევა. შემთხვევითი როდია ის გარემოება, რომ კოზლოვსკაია მსოფლიოს ჩემპიონობის ერთ-ერთი პრეტენდენტი გახდა, დიდ შეუპოვრობას და რთული თამაშისადმი მიდრეკილებას კოზლოვსკაიამ მაღალი ტექნიკიკა დაუმატა და ახლა თბილისში მტკიცედ, საიმედოდ მოქმედებს.

გადადებული პარტიების დამთავრებისას კოზლოვსკაიამ ორი ქულა მოიპოვა: ჯერ აღიოსინას მოუგო, შემდეგ კი ზუსტად გამოიყენა ზედმეტი ხარისხი კისლოვასთან.

გაფრინდაშვილ-ბერინფელდის პარტიის განახლებისას საკმაოდ იშვიათი ამბავი მოხდა: ერთი სადამის განმავლობაში ბერინფელდი ორჯერ აღმოჩნდა ციაინტრში. მისი პოზიცია თავიდანვე მძიმე იყო, მაგრამ ახალგაზრდა ოსტატობის კანდიდატმა მაინც გააჭიანურა წინააღმდეგობა. მსოფლიოს ჩემპიონს ზედმეტი ფიგურა ჰქონდა, მაგრამ ბერინფელდს განაპირა გამსვლელი პაიკის იმედი ჰქონდა. ბოლოს დებიუტანტს მაინც დანებება მოუხდა.

რამდენიმე მოულოდნელია სოჭელი ოსტატის პედკოს ჩინებული სტარტი. მან კარგად გამოიყენა უპირატესობა ზვორიკინასთან და ეჯერ მეორე ქულა ჩაიწერა ვათამაშების ცხრილში. იგივე ითქმის სემიონოვაზეც, რომელმაც აგრეთვე მეორე ქულა მოიპოვა, ამჯერად კისლოვასთან. ყაიმზე შეთანხმდნენ შულიმედიანოკოვი და სტერნინა-ზატულოვსკაია. ამ პარტიაში „ბაქოს ციხესიმაგრეს“ (ეს მეტსახელი ზატულოვსკაიას შერჩა, თუმცა ახლა მოსკოვში ცხოვრობს) ერთხანს საეჭვო პოზიცია ჰქონდა.

სტარტის ერთი თავისებურება ისიც გახლავთ, რომ ძალიან ცოტა პარტია მდავრდება ყაიმით. ეს შედეგი მხოლოდ მაშინ აღინიშნება ხოლმე, როდესაც, როგორც იტყვიან, „უკანასკნელ პაიკს იცლიან“.

ტალინელმა ოსტატობის კანდიდატმა ფომენამ მოუგო ტაშკენტელ საერთაშორისო ოსტატ ბორისენკოს, რომელსაც ჯერჯერობით მხოლოდ წაგებები აქვს.

მეშვიდე მესამე ტურში შესანიშნავად ითამაშა ნონა გაფრინდაშვილმა. მისი მეტოქე ფომენა მიტელშპილში მთლიანად შებოჭილი აღმოჩნდა. ტალინელმა ოსტატობის კანდიდატმა ზედიზედ დაკარგა ორი პაიკი და დანებდა. ჩიბურდანიძემ შავებით უფიმცევის დაცვით, ისევე, როგორც პირველ ტურში, კვლავ ძმიმე პოზიცია მიიღო. მისმა მეტოქემ ალაიოხინამ განახორციელა ფიგურის არც თუ ისე ძნელი შეწირვა და 25-ე სვლაზე მოიგო. კოზლოვსკაიამ შავებით დიფხასს უარესი პოზიცია ჰქონდა სემიონოვასთან, მაგრამ ეკვევლმა ოსტატმა არაზუსტად ითამაშა. კოზლოვსკაიამ მოიგო ფიგურა და მალე პარტიაც. შულმა დაამარცხა მუსენაკი, ზვორიკინამ — გრინფელდი. დანარჩენ პარტიები გადაიდო.

3 ტურის შემდეგ 3 ქულით ერთ-პიროვნული ლიდერი გახდა საერთაშორისო ოსტატი კოზლოვსკაია. 2 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს ოსტატ პედკოს, ორ-ორი ქულა — მსოფლიო ჩემპიონს გაფრინდაშვილს, საერთაშორისო ოსტატ ზვორიკინასა და ოსტატ სემიონოვას.

დღეს მეოთხე ტურში გაფრინდაშვილი შავებით ეთამაშება მულენკოს, ჩიბურდანიძე — თეორეთით — კისლოვას.

ბ. გამრეკელი.

ტურნირის მონაწილენი

საერთაშორისო ოსტატი. ვალენტინა კოზლოვსკაია

თასი—ალა კუშნირს

ბელგრადი, 18 დეკემბერი. (საკადესის კორ.). მოსკოველმა ალა კუშნირმა მოიგო ევროპის ჩემპიონ ქალთა თასი ჭადრაკში. მან მოიგოვა თორმეტი შესაძლებლიდან ათი ქულა ტურნირში, რომელიც იუგოსლავიის ქალაქ ვრნიაჩკა-ბანიაში მიმდინარეობდა.

მეორე და მესამე ადგილები გაიყვეს უნგრელმა ჟუჟა ვერეცამ და ხაბეოთა მოჭადრაკემ მაია რანიკუმ.

ტალი და ვასიუკოვი

ეს ორი ცნობილი გროსმაისტერი ლიდერობს საერთაშორისო ტურნირის პირველი ნახევრის შემდეგ, რომელიც ქ. დუბნაში მიმდინარეობს. ტალსა და ვასიუკოვს ექვს-ექვსი ქულა აქვთ 8 შესაძლებლიდან. პირველი ადგილის მესამე პრეტენდენტ გროსმაისტერ ლუტიკოვს 5,5 ქულა აქვს.

დუბნის შეჯიბრებაში 16 გროსმაისტერი და ოსტატი გამოდის. შეჯიბრება თვის ბოლომდე გასტანს.

რამდენიმე სტრიქონით

● **ჭიდაობა.** 10 გუნდი მონაწილეობდა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების თასის გათამაშებაში კლასიკურ ჭიდაობაში, რომელიც ტაშკენტში მიმდინარეობდა. წარმატებით იასპარეზეს წითელდროშოვანი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მოჭიდავეებმა. მათ მეორე ადგილი მოიპოვეს ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის გუნდის შემდეგ. ქვეს ღირსნი არიან ბ. მორჩილაძე და გ. დოგუზაშვილი, რომლებმაც ხუთ-ხუთი გამარჯვება მოიპოვეს.

● **მძლეოსნობა.** შესანიშნავი შედეგი — 2 მეტრი და 20 სანტიმეტრი აჩვენა სიმაღლეზე ხტომაში „დინამოს“ დახურულ დარბაზში ვილნიუსის საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტის სტუდენტმა, ევროპის ჩემპიონმა, 24 წლის კეტტუტის შაკამ.

● **ჰოკეი.** გაზეთ „იზვესტიის“ საერთაშორისო ტურნირზე მოსკოვში მეორე გამარჯვება მოიპოვა სსრ კავშირის ნაკრებმა. ჩვენმა ჰოკეისტებმა დიდი ანგარიშით 10:1 დაამარცხეს პოლონეთის გუნდი. ფინეთის ნაკრებმა ანგარიშით 5:2 დაამარცხა მსოფლიოს ეიცე-ჩემპიონი — შვეიცის გუნდი.

● **სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეჯამა „სპორტლოტოსი“ და „სპორტლოტო-2“-ის 34-ე ტირაჟის შედეგები, რომელიც 10 დეკემბერს გაიმართა უსტ-კამენოგორსკში:

„სპორტლოტოს“ ექვსი ნომერი ვერავინ ვერ გამოიცნო; ისინი, ვინც გამოიცნო ხუთი ნომერი, მიიღებენ 2.139 მანეთს (226 ბარათი); ოთხი ნომერი — 50 მანეთს (10.893); სამი ნომერი — სამ მანეთს (186.289) თვითეული.

„სპორტლოტო-2“-ის ექვსი ნომერი აქაც ვერავინ ვერ გამოიცნო; ისინი, ვინც გამოიცნო ხუთი ნომერი, მიიღებენ 2.094 მანეთს (20 ბარათი); ოთხი ნომერი — 39 მანეთს (1.095); სამი ნომერი — 3 მანეთს (20.199) თვითეული.

34-ე ტირაჟის მოგებებს გასცემენ ცენტრალური შემნახველი სალაროები 1973 წლის 21 დეკემბრიდან 1974 წლის 20 იანვრამდე. შემდეგი ტირაჟი გაიმართება 20 დეკემბერს ვორონეჟში. (საკადესი).

ტელევიზია

19 დეკემბერი

პირველი პროგრამით

17.05 — სკოლების დასახმარებლად — რუსული ენა, 17.35 — კინონარკვევი, 17.45 — სკოლების დასახმარებლად — ინგლისური ენა, 18.15 — კონცერტი მოსწავლეთათვის, 19.00 — „ფრთხილად, საშიშია“, 19.20 — „დოკუმენტური კინო ბრალს დებს“, 19.45 — „ჩვენი კომენტარი“, 19.55 — „შემოქმედებითი პორტრეტები“ — ივანე პაპასკირი, 20.25 — „მოამბე“ საინფორმაციო პროგრამა, 20.55 — „შილდაში მღერის დედას ლევანა და ართანაში ყარალაშვილი“, 22.00—„ვრემია“— საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.35 — სატელევიზიო მუსიკალური ფილმი „რიგოლეტო“ (II ნაწილი).

მეორე პროგრამით

18.05 — ტექნიკუმის მოსწავლეთა დასახმარებლად — ლექცია ტექნიკურ მექანიკაში, 19.05 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ხაზვაში, 20.05 — განცხადებები, 20.10 — „კინოფიშა“, 20.40 — მხატვრული ფილმი „კიდევ ერთხელ სიყვარულზე“.

რადიო

20 დეკემბერი

პირველი პროგრამით

09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ჟ. ბიზე. საორკესტრო სიუიტა ოპერიდან „კარმენი“, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — ქართული ხალხური მუსიკა, 11.30 — უკანასკნელი ცნობები, 11.45 — „პარტიული მუშაკის ტრიბუნა. საუბარი „პარტიული ორგანიზაცია და შემხვედრი გეგმები“, 12.10 — უკანასკნელი ცნობები, 12.15 — ქართველ კომპოზიტორთა სავიოლინო პიესები, 12.25 — „სცენის ოსტატები“, 12.35 — სიმღერები ვ. ვუიაჩიჩის შესრულებით, 12.45 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.50 — გ. ყანჩელი. ლარგო და ალეგრო, 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — დ. არაყიშვილი. საორკესტრო ნაწყვეტები ოპერიდან „თქმულება შოთა რუსთაველზე“, 17.35 — მოსწავლეთათვის. „წიგნის თარო“, 18.00 — უკანასკნელი ცნობები, 18.05 — ქართული მსუბუქი მუსიკა, 18.45 — მღერის მ. მაგიე, 19.00 — მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი. საუბარი „იდეოლოგიური ბრძოლა კლასობრივი ბრძოლის უმწვავესი ფორმაა“, 19.20 — ნ. მამისაშვილი. საფორტეპიანო ბალადა „თავფარავნელი ჭაბუკი“, 19.30 — უკანასკნელი ცნობები, 19.45 — ვ. მურადელი. სიმღერები. 20.30 — „მღერის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ვაჟთა ვოკალური ანსამბლი“, 21.10 — გ. ჩიქოვანი. „მალსეკო“. რადიოდადგმა, 21.40 — ვ. გრიგი. საფორტეპიანო კონცერტი და ნაწყვეტები საორკესტრო სიუიტიდან „პერ-გიუნტი“, 22.30 — უკანასკნელი ცნობები, 23.30 — საესტრადო კონცერტი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

თეატრები

19 დეკემბერი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **საბრალდებო დასკვნა;** კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ძველი ოდევლები;** ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **არშინ მალ-ალანი.**

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

კომუნისტი

380008 თბილისი-8, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების—99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61. პროპაგანდის — 98-22-93 მრეწველობის — 98-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 98-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სახლავლებლებისა და სკოლების — 98-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 98-16-90 უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 98-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 60443 უე 08620

საქ. კპ. ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-6, ლენინის ქ. 14.